# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფეკვაა, ფეფილებით და ჭიერებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკარგისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 19 აპრილი. 2019 წ. №78 (8744) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## პარლამენტი და სამართალი

# წყალწაღებულნი ვენეციურ ხავსს ეჭიდებიან

**მოგეხსენებათ,** იტალიური ქალაქი – საოცრება ვენეცია წყალზე დგას, ამიტომ არაფერია გასაკვირი, თუ წინამდებარე წერილის მთავარი თემის გაშლამდე პოპულარულ ქართულ გამოთქმებს კიდევ ერთხელ მოვუხმობთ: წინ წყალი, უკან მეწყერი; თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში; ჩაილულის წყალი დალია; წყალნი წავლენ და წამოვლენ; წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა; წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია; წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო...

საკმარისია, ხომ?

საინტერესოა, რა დაუშავათ ქართველ პოლიტიკანებსა და არასამთავრობო (უფრო სწორად – ანტისამთავრობო) ორგანიზაციებს კაცობრიობის იტალიურმა სიამაყემ, შესაშური ჟინით რომ აძულებენ თანამემამულეებს?

ალბათ, მიხვდით, რომ იმ ყბადაღებულ ვენეციის კომისიას ვგულისხმობთ, რომლის დასკვნებსა თუ რეკომენდაციებს მაშველი რგოლივით ელიან მმართველი პოლიტიკური ძალის ოპონენტები და სანუკვარი დოკუმენტის მიღებამდეც კი, მისი პროექტის შემცველ ფურცლებს ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციის სადარ მტკიცებულებასავით აფრიალებენ.

იცოცხლეთ, წონიანი საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენტური მოსაზრება, დიახაც, გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ჩვენთვის რამდენად სასარგებლო მოღვაწეობით დაგვამახსოვრა აქამდე თავი აღნიშნულმა ინსტანციამ და, რაც მთავარია, რატომ ვართ ვალდებულნი, რჩევის სახით შემოთავაზებული ერთგვარი რეცეპტი კანონის ძალის მქონე დავთრად „შევიტყაპუნოთ“?

თქვენი არ ვიცი და ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ან ამ პატივცემულ ევროპელ ჰალსტუხიან დენდებს დაბალი ღობე ვგონივართ, ან, რაც კიდევ უფრო სარწმუნოდ გამოიყურება, „ბუათი“ დაშინება ორივე ვითომ დაპირისპირებულ მხარეს აწყობს – ისინი ხომ თვალისჩინივით უფრთხილდებიან პროგრესული დასავლური ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლებთან ურთიერთობას, რაც საქმიანი ვიზიტებისა და გარანტირებული კეთილდღეობის წინაპირობაა.

განსაკუთრებულ ეპითეტებს იმსახურებს ვენეციის კომისიის თავკაცი ჯანი ბუკიკიო, თუმცა, ამაზე სხვა დროს.

**გია პლატონიშვილი**

# პროფესია ფრთებია!

## საქართველოს სოფლებში კვალიფიციური 6–7 აგრონომების მწვავე დეფიციტია!

## ფრთხილად, კიბერთაღლითები გვიტევენ! 7

## 4 გაძვირდება თუ არა პური?

## რატომ დააჯარიმა ჯანდაცვის სამინისტრომ 197 კლინიკა? 4

## სადაც ჩვენ არა ვართ...

# დათო დარჩია: ღატაკებში ვიყავი და ახლა მათხოვრებში გადავედი... ერთი სული მაქვს, ამ ქვეყნიდან გავიქცე“

**„უკაცრავად და, ქვეყანა გვაქვს ჩასვრილი (მე მაპატიეთ) და, შესაბამისად, მსახიობებიც ჩასვრილი (კიდევ ერთხელ, ბოდიში) ვართ, როგორც ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენლები. არც კინოშია ფული და არც – თეატრში. დღეს ჩემი ხელფასით მათხოვრებში ვარ. ღატაკებში ვიყავი და ახლა მათხოვრებში გადავედი. ყველაფერი ცუდადაა და ერთი სული მაქვს, ამ ქვეყნიდან გავიქცე. იქ წავალ, სადაც შრომა და ნიჭი ფასდება. ამერიკაზე ვფიქრობ. ამ ეტაპზე მარტო ვაპირებ, მაგრამ ჩემს შვილებსაც ვურჩევ, აუცილებლად გაიქცნენ ამ ქვეყნიდან,** – წერს სოციალურ ქსელში მსახიობი დავით დარჩია.

„კომერსანტი“ მსახიობის FACEBOOK-სტატუსს უცვლელად გთავაზობთ:

„ყველაფერს ვყიდი. თუ გავყიდე, ყველაფერს დავალაგებ და მერე ვიზრუნებ წასვლაზე. თუ ვიზა ჩამირტყეს, კი არ წავალ, გავიქცევი ამ ქვეყნიდან. იქ, სავარაუდოდ, ჩემი პროფესიით არავინ მამუშავებს – მილიონია ჩემნაირიც და ჩემზე უკეთესიც, მაგრამ, რაც არ უნდა გააკეთო, შრომა დაგიფასდება. რაც შემიძლია, არაფერს ვიუკადრისებ. **ათასი ლარი მაქვს ხელფასი და ამ ფულით როგორ უნდა ვიცხოვრო?** მთელი ფული გადასახადებს მიაქვს და რით ვარჩინო ექვსსულიანი ოჯახი, თავის ძაღლით, დარჩენილი ორასი ლარით? ზამთარი რომ მოდის, მეშინია, ყველაფრის გადასახადი ორმაგდება. **ცალკე ბანკის ვალები** და რაღა რჩება თვიდან თვემდე საარსებოდ.

ამ ეტაპზე მთელი ოჯახი ჩემზეა დამოკიდებული. პენსიონერი დედა რომ დაგეხმარება, რაღაზეა ლაპარაკი. ისიც, რით უნდა დამეხმაროს, საყურეს და ბეჭედს თუ მიიტანს ლომბარდში ან ვინმეს სთხოვს, რომ მასესხოს ფული. ვყიდი ყველაფერს, სახლიდან დაწყებული, ერთი ნამუსს ვერ გავყიდი, დანარჩენი – კი, ბატონო. **გაქცევა მინდა, ქვეყანასაც ველარ ვიტანდ. ქვეყანამ რა დამიშავა, ამაზე ლამაზი არაფერი მეგულება ამ სამყაროში, მაგრამ ასეთი ადამიანების ხელში უკვე აღარც საკუთარი ქვეყანა მინდა.** თეატრში ჩემ გარშემო იგივე მდგომარეობაა. ვისაც რამე აქვს გასაყიდი, ყიდის, ვისაც არა და ტირის!..

### რედაქციის მინაწერი:

*ქვეყანაში რომ უმუშევრობა და სიღარიბეა, არახალია. ამ არცთუ მარტივი მიზეზის გამო, მიუხედავად ჩვენი დიდი ემიგრაციისა, ვინც დღემდე დავრჩით საქართველოში, ხვალ ჩვენც გუდა-ნაბადი უნდა ავიკრათ და გავიქცეთ, სადაც დაგვიღამდება, იქ გავითენოთ? მერედა, ვითომ ივარგებს მხოლოდ მუცელს აყოლილი ჩვენი ასეთი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, რომელიც როგორც უფალი – ერთია ქვეყანაზედა, ყველამ თუ ასე ვიფიქრეთ, ხომ გაუდაბურდა საქართველო, ჩვენი ხალხისგან დაცლილ ქვეყანას უმალ სხვა გვარტომის ხალხი დაეპატრონება. იმან რაღა ქნას, ვინც თვეში 1000 კი არა, 200 ლარს არის შეჩერებული?! არა, ბატონო, დავით, ასე არ გამოვა, თანაც შვილებსაც ქვეყნიდან გაქცევას ურჩევთ?! ბოდიში, მაგრამ, თქვენს საქციელს ცოტა „ნაციონალური“ პოლიტიკის სუნი ხომ არ უდის?!*

# გაჭირვების გამო საქართველოდან წასული მოქალაქეები საფრანგეთში ღამეს ქუჩაში ათენებენ

„კარვების ქალაქი“ – სადაც ქართველები ღამეს ღია ცის ქვეშ ათენებენ. მათ უმრავლესობას მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ.

# ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲡ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲜᲔᲜ

**ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ** **პრეზიდენტის ნიკოს ანასტასიადისისა და ქალბატონ ანდრი ანასტასიადისის პატივსაცემად, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის სახელით, სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში ოფიციალური ვახშამი გაიმართა.**

ოფიციალურ ვახშამს, სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და მისი მეუღლეც ესწრებოდნენ.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, ჩვენთან ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე იმყოფება ყოფილი პრეზიდენტი. საქართველოში ეს აქამდე არ ყოფილა და იმედი გამოთქვა, რომ ამ ტრადიციას საფუძველი ჩაეყრება.

საქართველოს და კვიპროსის პრეზიდენტებმა ქართველი და კვიპროსელი ხალხების მეგობრობის სადღეგრძელო შესვეს.

**„კვიპროსი ქართველებისთვის, პირველ რიგში, იყო გზა წმინდა მიწისკენ.**

**ნიშანდობლივია, რომ არსებობს ცნობილი ლეგენდაც, რომელიც აღწერს ჩვენი დიდი მეფის თამარის ვაჟის, ლაშა-გიორგის მოგზაურობას კვიპროსის გავლით წმინდა მიწისკენ.**

**ამ გზამ ქართველები და კვიპროსელები ისე დაგვაახლოვა, რომ ჩვენ საიმედო მეგობრები გავხდით და ისტორიის არც ერთ ეტაპზე ამ ურთიერთობას ბზარი არ შეჰპარვია.**

**კვიპროსის ღალიის ქართველთა მონასტერი, რომლითაც ქართველებიც და კვიპროსელებიც ასე ვამაყობთ, ჩვენი დიდი მეგობრობის სიმბოლოა.**

**ღალიის არქეოლოგიური გათხრები, კონსერვაცია და, ბოლოს, მისი კვიპროსის ტურისტულ მარშრუტში ჩასმა მოწმობს იმას, თუ რამდენად ძვირფასია ქართული კულტურული მემკვიდრეობა თქვენთვის, რამდენად აფასებთ მის მნიშვნელობას.**

**თანამშრომლობის ის დონე, რაც ზოგადად, ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით არსებობს, სრულიად განსაკუთრებულია. ეს მზრუნველობა, ისტორიულად, ორმხრივი იყო. ქართველთა მეფე ერეკლე მეორე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა კიკოსის მონასტრის მიმართ.**

**საამაყოა, რომ ამ ღრმა ურთიერთობას დრო ვერაფერს აკლებს — ორი წლის წინ დაიწყო არქეოლოგიური გათხრები სოფლებში — ალამინოსსა და სოფტადესში. ისინი, ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართულ ძეგლებად მოიაზრება. აღსანიშნავია, რომ ეს გათხრები ქართული არქეოლოგიური მისიების მიერ მიმდინარეობს და მინდა, განსაკუთრებული მადლობა გითხრათ ამ ჟესტისთვის.**

**ჩვენ ძალიან მადლიერი ვართ, რომ კვიპროსის სამთავარეპისკოპოსომ და თავისი გადაწყვეტილებებით ხელისუფლებამ საქართველოს საპატრიარქოს სამონასტროდ, სრულ მფლობელობაში, უსასყიდლოდ გადასცეს 13 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი კვიპროსის აგია-მარინაში. ეს ისტორიული ფაქტია, რისთვისაც ძალიან მადლობელნი ვართ.**

**ასევე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანას ძალიან უჭირდა, წალკაში უწყლობის პრობლემის გადაჭრაში დიდი დახმარება გაგვიწია ბატონმა გეორგიუს იაკოვუმ. ბატონი გეორგიუსი მაშინ ხელმძღვანელობდა ყოველთა ბერძენთა საერთაშორისო ფონდს.**

**მისივე მხარდაჭერით თბილისში გაიხსნა უფასო სამედიცინო დაწესებულება ჩვენი მოქალაქეებისთვის. ეს მაშინ ფასდაუდებელი ჰუმანიტარული აქცია იყო.**

**ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ საუკუნეებგამოვლილი ეს იშვიათი ურთიერთპატივისცემა. მჯერა, რომ ამ ურთიერთობას, ერთმანეთის უანგარო მხარდაჭერას თაობები გააგრძელებენ, რადგან მას ძალიან ძლიერი საძირკველი აქვს,** — თქვა სალომე ზურაბიშვილმა.

# ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲔᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲣᲚ ᲔᲚᲩᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** **პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გაეროსთან აკრედიტებულ ელჩებს შეხვდა, რომლებიც საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან.**

საქართველოს პრეზიდენტმა გაეროსთან ფინეთის, ეკვადორის, დომინიკის რესპუბლიკის, მარშალის კუნძულების, ესვატინის სამეფოს და მიკრონეზიის ფედერალური შტატების მუდმივ წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. მხარეებმა ჟენევის მოლაპარაკებების თაობაზე და გაეროში საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუციის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რომელიც „აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსს“ უკავშირდება.

ელჩები საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით დაინტერესდნენ. შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციათან დაკავშირებულ საკითხებს, ამ მიმართულებით ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებს.

# „ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲨᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲔ-60 ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ

**ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ** **ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2019 წლის პრესის თავისუფლების ინდექსი გამოაქვეყნა.**

საქართველო 28,98 ქულით, 180 ქვეყანას შორის, მე-60 ადგილზე მოხვდა. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში კი საქართველოს შესახებ ვკითხულობთ:

**„საქართველოში მედიაგარემო პლურალისტურია, თუმცა ის კვლავ რჩება პოლარიზებულად. ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა, მედიამფლობელების გამჭვირვალობისა და სატელიტური ტელევიზიების პლურალიზმის ხარისხი გააუმჯობესა, თუმცა მედიამფლობელები ხშირად ახდენენ ჩარევას სარედაქციო პოლიტიკაზე.**

**ტელეკომპანიის, რუსთავი 2-ის ირგვლივ მიმდინარე სასამართლო დავის შედეგი დიდ გავლენას მოახდენს ზოგად სიტუაციაზე. ჟურნალისტების მიმართა ძალადობრივი შემთხვევები შემცირებულია, თუმცა გარკვეული მუქარები ისმის მათ მიმართ.**

**2017 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცების საქმის გამოძიება ჯერ კიდევ არ იძლევა დამაჯერებელ შედეგებს. მუხთარლის საიდუმლოებით მოცული გატაცება თბილისიდან, რომელიც შემდეგ აზერბაიჯანის საპატიმროში აღმოჩნდა, შოკისმომგვრელი იყო საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ტრადიციულად თავშესაფარს სთავაზობენ მეზობელი ქვეყნებიდან გადმოსულ დისიდენტებს“.**

„პრესის თავისუფლების ინდექსის“ სათავეში არიან ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, ნიდერლანდები, დანია, შვეიცარია, ახალი ზელანდია, იამაიკა, ბელგია და კოსტა რიკა.

სომხეთი 28,98 ქულით 61-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი 59,13 ქულით — 166-ე ადგილზე, რუსეთი 50,31 ქულით — 149-ე ადგილზე, თურქეთი 52.81 ქულით — 157-ე ადგილზე. ყველაზე უარესი შედეგი აჩვენეს ვიეტნამმა, ჩინეთმა, ერითრეამ, ჩრდილოეთ კორეამ და თურქმენისტანმა.

# ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲐᲜᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ ᲓᲐᲐᲯᲐᲠᲘᲛᲔᲡ!

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ** **საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ანი წითლიძე და პარტიის პრესსამსახურის უფროსი გიორგი პატარაია მოსამართლემ სამართალდამრღვევებად ცნო. სამეგრელოში მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებულებს 2 ათას- 2 ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ.**

გამოძიება მათ წვრილმან ხულიგნობას და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას ედავება.

სანდრა რულოვსის საარჩევნო კამპანიის დროს დაკავებული ენმ-ის ზუგდიდის საკრებულოს წევრის ანი წითლიძისა და პარტიის პრესსამსახურის უფროსის გიორგი პატარაიას საქმეზე პროცესი გუშინ გაიმართა.ინციდენტი სამეგრელოში რამდენიმე დღის წინათ მოხდა. ვითარება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენში მას შემდეგ დაიძაბა, რაც მერობის კანდიდატი სანდრა რულოვსი მოსახლეობასთან შეხვედრას მართავდა. მთელი დღის განმავლობაში გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატს სპეცსამსახურების თანამშრომლები უთვალთვალებდნენ. დღის ბოლოს შეხვედრაზე მათ ოპოზიციის წარმომადგენლებმა საბუთების წარდგენა მოსთხოვეს და დახმარებისთვის საპატრულო პოლიცია გამოიძახეს, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

# ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲭᲐᲜᲑᲐᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲡᲮᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ „ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲐᲡ“

**ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ** **აფხაზეთში მარიონეტული მთავრობა რუსული ანექსიის პოლიტიკის მორიგი პუნქტების განხორციელებაზე, კერძოდ, უძრავი ქონების უცხო მოქალაქეებზე მიყიდვის ლეგიტიმაციაზე გადავიდა, რასაც ბოლო დრომდე დე ფაქტო ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.**

აფხაზეთში გრძელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების როგორც მითვისების, ისე განადგურების პროცესი. ამაზე მიუთითებს ახალი ინიციატივა: **აფხაზეთის „ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის“ ჭანბას ქუჩაზე და შუქურას რაიონში საცხოვრებელი სახლების აშენება და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მათი აუცილებელი გასხვისება. იქვე დაზუსტებულია, თუ ვინ შეიძლება იყვნენ ის უცხოელები, რომლებიც სოხუმში სახლებს შეიძენენ — რა თქმა უნდა, იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებმაც აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარეს.**

ყველაფერი ცხადი ხდება. გადაწყვეტილია 1993 წლამდე ძირითადად ქართველებით დასახლებული ჭანბას ქუჩისა და შუქურას რაიონის „უპატრონოდ“ დარჩენილი სახლებითურთ რუსების ხელში გადასვლა. ამდენად, გახმიანდა ოკუპანტი სახელმწიფოს უკვე მოთხოვნად ქცეული სურვილი, რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში უძრავი ქონების, არსებითად, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა სახლების შეძენის უფლების მინიჭების შესახებ.

შესაბამისი „საკანონმდებლო“ ბაზაც შექმნილია. ეს არის 2016 წლის 20 ივლისს ე. წ. სახალხო კრების მიერ მიღებული „კანონი“ რესპუბლიკური და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის შესახებ, რომლის მეოთხე მუხლი უშვებს პრივატიზაციის პროცესში უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობას. მხოლოდ „კანონის“ რეალიზების შემთხვევაში გაიღებს მოსკოვი დაპირებულ ფინანსურ დახმარებას, რომელიც წლების განმავლობაში „იგვიანებს“. სწორედ იმ „დახმარებითა“ და ქართველთა სახლების ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებით აპირებს საოკუპაციო რეჟიმი აფხაზეთის ეკონომიკის „გამოცოცხლებას“.

**როგორც ვხედავთ, რუსეთის ფედერაციამ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი“ არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ჩიხშიც შეიყვანა, „ეკონომიკური გამოცოცხლების“ ისეთ გზაზე დააყენა, რომელიც „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკას სრულ ანექსიამდე და დამოუკიდებლობანას თამაშის სამუდამოდ დასრულებამდე, აფხაზ ხალხს კი გადაშენებამდე მიიყვანს. ოღონდ კარს მომდგარი ეს საფრთხე, გაცნობიერებული აქვს აფხაზურ საზოგადოებას?“**

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატებად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო საზოგადოებებმა:

| კანდიდატის გვარი, სახელი | სპეციალობა, ვაკანსია |
|---|---|
| ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება | |
| | ფიზიკური ქიმია - 1 ვაკანსია |
| 1. ვლადიმერ ციციშვილი<br>2. ჯიმშერ ანელი | |
| | მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია - 1 ვაკანსია |
| 1. რამაზ გახოკიძე<br>2. რამაზ ქაცარავა | |
| საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება | |
| | მართვის სისტემები - 1 ვაკანსია |
| 1. რამაზ ხუროძე<br>2. ჯუმბერ დოჭვირი | |

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**
**გიორგი კვესიტაძე**

**ძეგლებისა** და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) ინიციატივით 1983 წელს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) 18 აპრილი მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მატიანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია“ (საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ).

საქართველოში აღრიცხულია 7 650 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი;
4 221 კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლი;
48 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დღეისათვის, შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის 3 ძეგლი:

- მცხეთის ისტორიული ძეგლები;
- გელათის სამონასტრო კომპლექსი;
- ზემო სვანეთი.

UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ნუსხაში წარმომადგენლობით სიაში შესულია:

- ქართული მრავალხმიანობა;
- ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი;
- ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა;
- ქართული ჭიდაობა.

# „რუსთავი-2“-ის კიდევ ერთი ტყუილი!

## თანაინვესტირების ფონდი განმარტავს:

**გვსურს, გამოვეხმაუროთ 2019 წლის 17 აპრილს „რუსთავი-2“-ის ეთერში, კერძოდ, გადაცემა „კურიერში“ გასულ სიუჟეტს პანორამა თბილისისა და სამი დაშავებული მუშის თაობაზე, რომელშიც გაჟღერდა არაერთი მცდარი ინფორმაცია.**

● „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შრომის ინსპექციის წარმომადგენლებმა ობიექტზე შესვლა მხოლოდ სამოქალაქო აქტივისტების დახმარებით შეძლეს, რაც ტყუილია. შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების ადგილზე შესვლა მოხდა შეუფერხებლად, ასევე შეუფერხებლად მიმდინარეობდა საპატრულო პოლიციის, სასწრაფო დახმარების, ეკონომიკის სამინისტროს და საექსპერტო სამსახურის წარმომადგენლების ადგილზე შესვლა.

● სიუჟეტში ნახსენებია, რომ სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს კომპანია „ჯითიდიეფ სოლუშენს“, რაც ასევე არ შეესაბამება სიმართლეს. უკანა ფასადის ლესვით სამუშაოებს, სადაც მოხდა ინციდენტი, ახორციელებდა „შპს ენერჯი პლიუსი“ შპს „თბილისი სითი“-ს დაკვეთით. „შპს ენერჯი პლიუსი“ კონტრაქტით ვალდებული იყო დაეცვა სამშენებლო ნორმები და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პერსონალი ჰყავდა გამოყოფილი. აღნიშნული კომპანია არის დამოუკიდებელი კონტრაქტორი და მას არანაირი კავშირი არ აქვს შპს „ჯითიდიეფ სოლუშენს“-თან ან საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდთან.

მოგახსენებთ, რომ 16 აპრილს თავისუფლების მოედანთან, კერძოდ კი ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილზე განთავსებული სასტუმროს მშენებლობაზე დაშავდა სამი მუშა, უკანა ფასადის ლესვითი სამუშაოების შესრულებისას. არც ერთი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამივე მუშის ჩამოვარდნის სავარაუდო მიზეზი იყო ბაგირის და კალათის გამოდება წინაღობაზე, რამაც გამოიწვია ბაგირის დაჭიმვა და სამაგრის მოწყვეტა. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებდა კომპანია შპს „ენერჯი პლიუსი“, რომელსაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით სრული პასუხისმგებლობა აკისრია შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც ორი დაშავებული — გიორგი ლიპარტელიანი და ნოდარ ჩახალიანი „ამტელ ჰოსპიტალში“ გადაიყვანა, ხოლო დავით ოჩხიკიძე გადაყვანილ იქნა „ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში.“

„რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, დაშავებულების ჯანრთელობის მდგომარეობა მძიმეა, რაც ასევე მცდარი ინფორმაციაა. „ამტელ ჰოსპიტალის“ ნეიროქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ბატონ ბესიკ წივწივაძის განცხადებით, დაშავებულებს აღენიშნებათ მსუბუქი ხარისხის თავის ტვინის შერყევა და სხეულის დაბეჟილობა, შინაგანი ორგანოების დაზიანება არ იკვეთება და ამჟამად უტარდებათ კონსერვატიული მკურნალობა. პაციენტები დღეს გაეწერებიან ბინაზე ამბულატორიული მკურნალობის გასაგრძელებლად, ხოლო დავით ოჩხიკიძეს აღენიშნება ქალა-ტვინის ტრავმა, გულ-მკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მოტეხილობა, ფილტვების დაბეჟილობა და მუცლის დახურული ტრავმა.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „რუსთავი-2“-ის წარმომადგენლები არ დაკავშირებიან საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდს, არ გამოუთხოვიათ ინფორმაცია, რაც ამყარებს ეჭვს, რომ „რუსთავი-2“-ის ინტერესი არა საზოგადოების ინფორმირება, არამედ მისი შეგნებულად შეცდომაში შეყვანა!!!.

# ! მუშები თავიანთ დაუდევრობას აღიარებენ!

**„პანორამა თბილისის“ მშენებლობაზე დაშავებული მუშები აცხადებენ, რომ სამშენებლო პროცესის დროს უსაფრთხოების ნორმები თავად არ დაიცვეს. მუშები ამბობენ, რომ დაბალი სიმაღლიდან გამომდინარე, დამცავ საშუალებებზე უარი თქვეს, თუმცა ამ საშუალებებს სხვა დროს მუდმივად იყენებენ. ერთ-ერთი მუშის გიორგი ლიპარტელიანის თქმით, სპეციალური ღვედის გაკეთება არ მიიჩნიეს საჭიროდ, რადგან მცირე ხნის, დაახლოებით 1-2 საათის სამუშაო ჰქონდათ შესასრულებელი. „ჩვენი უფროსიც გასული იყო. მალე რომ დაგვემთავრებინა, ასე მოვიქეცით. სიმაღლეზე ასვლისას ეს კონსტრუქცია გამოედო აივანს, კონსტრუქცია გადმოიწია, ცალი მხარე ჩამოვარდა და ცალი მხარე კორპუსის აივანზე შერჩა. ვეღარ გავსწორდით და გადმოვვარდით. რეალურად დავარღვიეთ უსაფრთხოება. როცა მუშაობას ვიწყებთ, სულ ვიცავთ ხოლმე უსაფრთხოებას. სამუშაო საათების დროს მოხდა ეს შემთხვევა“, — განაცხადა გიორგი ლიპარტელიანმა.**

**„სიმაღლე არ იყო ისეთი, რომ დამცავი გაგვეკეთებინა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დამცავის გარეშე ვმუშაობდით“, — განაცხადა მეორე მუშამ ნოდარ ჩახალიანმა. რაც შეეხება დაშავებულების ჯანმრთელობას, ნოდარ ჩახალიანი ამბობს, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო მესამე მუშა დღეს გადაიყვანეს პალატაში.**

# გაძვირდება თუ არა პური?

**მსოფლიოში ხორბლის მოსავალთან დაკავშირებული და საქართველოში მარცვლეულის მარაგთან არსებული პრობლემები, პურპროდუქტების ფასს კარგს არაფერს უქადის.** ბიზნესმენების ერთი ნაწილი ამბობს, რომ წლის ბოლოს ვითარება ისეთივე რთული იქნება, როგორც შარშან დეკემბერში. მთავრობა კი, პირიქით, ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„კროსლაინ ლოჯისტიკის“ დირექტორის **ლაშა ფარულავას** ინფორმაციით, იმის გამო, რომ ქვეყანაში მარაგი არ არსებობს, ხორბლის დეფიციტი იქმნება. ინფლაციისა და ქვეყანაში მიმდინარე სოციალური პრობლემების გათვალისწინებით კი, პურის ფასი იზრდება, რაც ისევ სოციალურად გაღარიბებულ მდგომარეობას დააწვება.

**„წელს მსოფლიოში ხორბლის იმ რაოდენობას, რაც შარშან იყო, ვერ მოიწევენ. შესაბამისად, ფასი მოიმატებს. რეალურად სტაბილურ ფასს ქმნიან მსხვილი ტრეიდერები. „ფაოს“ რეკომენდაციაა, რომ ქვეყანაში უნდა იყოს ხორბლის მოხმარების 3 თვის მარაგი.**

**რატომ გაგვიძვირდა პურპროდუქტები დეკემბერში? იმიტომ, რომ ქვეყანაში აღარ არის მარაგი. ტრეიდერები, რომლებიც ხორბლის იმპორტს საზღვაო და სარკინიგზო არხებით ახორციელებდნენ, შეეშვნენ ამ საქმეს ან გადავიდნენ მარტივ გზაზე. ერთ მანქანას გადააქვს 23 ტონა ხორბალი და კოლონებად მოდის ვიწრო გზაზე, რომელიც არის სამხედრო დანიშნულების და არა სატვირთო გადაზიდვებისთვის გამტარი. ფაქტობრივად, ჩვენი სასურსათო უსაფრთხოება ამ გზაზე გახდა დამოკიდებული. ეს არის მოსახლეობისთვის და ქვეყნისთვის ძალიან სახიფათო თემა და ზამთარში ჩვენ შეიძლება, მივიღოთ პურპროდუქტების გაორმაგებული ფასი.**

**თუ დღეს ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგა, არ მოგვისმინა, არ გაიაზრა იგივე რუსული საფრთხე, ასევე ბაზრის სპეციფიკა, ხორბლის ლოგისტიკაში შექმნილი პრობლემები, ჩვენ მივიღებთ ამ კატასტროფას და დავბუნდებით 90-იან წლებში“,** — განაცხადა გადაცემა „საქმეში“ ფარულავამ.

სავარაუდოა, რომ რუსეთში ხორბლის წარმოება 16%-ით შემცირდება, ხოლო ქვეყნის ექსპორტი, შესაბამისად, 11%-ით დაიკლებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ხორბლის ფქვილის წმინდა იმპორტიორია და რუსეთის წილი საქართველოს ხორბლის ფქვილის იმპორტში დაახლოებით 90%-ს შეადგენს, საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენცია ქართულ ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

პურის ფასის საკითხს უკვე გამოეხმაურა ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **ნათია თურნავა**. მისი აზრით, საქართველოში პურის გაძვირების საფუძველი არ არსებობს და რიგი ფაქტორების გათვალისწინებით მწარმოებლებს, პირიქით, ფასის კლების შესაძლებლობაც ექნებათ. მაგალითად მან კომპანიებისთვის გაზმომარაგებისა და ელექტროენერგიის მიწოდების უკეთესი პირობების შეთავაზება დაასახელა.

ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ დეკემბრის შემდეგ გაძვირების რისკი ჯერჯერობით საქართველოში არ დამდგარა. მართალია, ქვეყანაში მარაგის პრობლემა არსებობს, რამაც სამომავლოდ, შესაძლოა, ფქვილის ღირებულების ცვლილება გამოიწვიოს, მაგრამ ეს პურის ფასზე გავლენას ვერ იქონიებს.

**„დეკემბერში გაძვირდა ფქვილი და ამან პურის ფასზეც მოახდინა გავლენა. დღეს ფქვილის გაძვირების ალბათობასაც ვერ დავუშვებთ, მაქსიმუმ, 2 ლარით შეიძლება გაძვირდეს 1 ტომარა, რაც ფასზე გავლენას ვერ მოახდენს. თავის დროზე ფქვილის გაძვირება, ძირითადად, მარაგის კლებით იყო გამოწვეული, 1 თვეში 11 ლარით გაძვირდა, რაც ბაზარმა ვერ გადაიტანა“,** — განაცხადა ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენელმა **ლევან სილაგავამ** და დასძინა, რომ მარაგთან დაკავშირებული საკითხია მოსაგვარებელი, რაც პურის ფასის საკითხსაც საბოლოოდ დააბალანსებს.

**გეძა დანელია**

# ქვეყნის ხორბლით მომარაგება უნდა ხორციელდებოდეს ყველა სახის — სამანქანო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით!

**საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია ფინანსთა მინისტრის იმ ბრძანებულების გაუქმებას ითხოვს, რომელიც ქვეყანაში არეგულირებს ხორბლის შემოტანას და გატანას მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით.** ასოციაციაში მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მოსავალის შემცირების გამო, ქვეყანაში მხოლოდ კონკრეტული გზებით შემოტანილი ხორბლის ფასი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც საბოლოო ჯამში პურის ფასზე ჰპოვებს ასახვას.

**„როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, დროის მოკლე მონაკვეთში გამოქვეყნდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევები, რომელიც ეხება მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მოსავალის პრობლემებს და მის გავლენას საქართველოს ბაზარზე, ბუნებრივია კვლევებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია საზოგადოებაში, რადგან შეეხება ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოების მთავარ კომპონენტს ხორბალს, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ისეთ სოციალური პროდუქტების ფასს როგორიცაა ფქვილის და პურის ფასი და მისი შემდგომი სტაბილურობა, აგრეთვე პროდუქტის უსაფრთხოება და ხარისხი .**

**კვლევებში ერთ-ერთ მიმართულებად აქტიურად განიხილება ხორბლის იმპორტის სამანქანო, სარკინიგზო და ზღვით შემოტანის დივერსიფიცირება და კონკურენტული გარემო.**

**ამ კონტექსტში ტელე და საინფორმაციო საშუალებებში კვლავ აქტიურად განიხილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №314, რომელიც არეგულირებს ხორბლის შემოტანას და გატანას მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით თ შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტების მეშვეობით.**

**საზოგადოებას მოეხსენება, რომ აღნიშნულმა ბრძანებამ 2018 წლის სექტემბრის თვეში ავტომანქანით ხორბლის გადამზიდავთა პროტესტი გამოიწვია და ბრძანების ძალაში შესვლა გადავადებულია 2019 წლის 1 ოქტომბრამდე.**

**აღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით, დიდია ტელე და საინფორმაციო საშუალებების ინტერესი და მათ შორის ჩვენი ასოციაციის წევრ კომპანიებს ხშირად თხოვენ კომენტარებს, მხარს უჭერენ თუ არა აღნიშნულ ბრძანებას.**

**უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის წევრებმა სხვადასხვა დროს არაერთხელ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია ინტერვიუებში თუ სტატიებში.**

**თუმცა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩანია, კიდევ ერთხელ ოფიციალურად განვაცხადოთ:**

**საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია ყოველთვის მხარს უჭერდა და უჭერს ბაზარზე სწორი კონკურენციის პირობებს და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, შესაბამისად ჩვენი პოზიციაა, რომ ქვეყნის ხორბლით მომარაგება ხორციელდებოდეს ყველა სახის — სამანქანო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით.**

**რაც შეეხება ჩვენს პოზიციას ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №314-თან მიმართებაში, სთხოვს ფინანსთა სამინისტროს ბრძანების საერთოდ გაუქმებას (და არა გადავადებას), რათა იგი არ გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი, ერთი მხრივ, სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით ხორბლის იმპორტით დაკავებულ კომპანიებს შორის ურთიერთობის და მეორე მხრივ, მთავრობასა და კომპანიებს შორის დარგის წინაშე არსებული პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან მიმართებაში სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბების.**

**ამასთან ერთად განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ხორბალი და მისგან წარმოებული პროდუქცია, ფქვილი და პური იყოს უსაფრთხო, ხარისხიანი და შეესაბამებოდეს სტანდარტებს და ამასთან დაკავშირებით გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.**

**საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია ხორბლის, ფქვილისა და პურის ბაზარზე დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეებს დარგში დასაქმებულ კომპანიებს, მთავრობას და არასამთავრობო ორგანიზაციებს თანამშრომლობისაკენ და მზადაა, ჩაერთოს ნებისმიერ ფორმატში თუ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში აიღოს პასუხისმგებელობა ქვეყნის წინაშე მდგომ ისეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორიცაა:**

**— ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება;**
**— ხორბლით სტრატეგიული მომარაგების შექმნა;**
**— მოწოდების სტაბილურობა და დივერსიფიცირება;**
**— სწორი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბება;**
**— ხორბლის, ფქვილისა და პურის ფასების სტაბილურობა;**
**— უსაფრთხო, ხარისხიანი და სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის არსებობა ბაზარზე,** — აღნიშნულია ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# რატომ დააჯარიმა ჯანდაცვის სამინისტრომ 197 კლინიკა?

**ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტომ კლინიკები 56 მილიონი ლარით დააჯარიმა; საუბარია 197 სამედიცინო დაწესებულებაზე საქართველოს მასშტაბით. დარღვევები კი უწყებამ 2016-2018 წლების პერიოდში აღმოაჩინა. დაჯარიმებულთა შორის მოხვდნენ ყველაზე მსხვილი ქსელური სამედიცინო დაწესებულებები: „მედალფა“, „მედკაპიტალი“, „ჯეოჰოსპიტალსი“, „ევექსი“ და ა.შ.**

მოგვიანებით ჯანდაცვის მინისტრმა განმარტა, რომ ეს არასწორად მიღებული თანხებია ბიუჯეტიდან, რაც კლინიკებმა უკან უნდა დააბრუნონ.

ამ კონტექსტში დავით სერგეენკომ ყალბი დოკუმენტაციაც ახსენა. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოში კი განმარტავენ, რომ კლინიკებში დარღვევები ძირითადად პაციენტების რეგისტრაციას ეხებოდა, როდესაც დოკუმენტაციას თან არ ახლდა პირადობის მოწმობის ასლი, ხელმოწერა და მსგავსი დეტალები.

**„სოფლად მცხოვრები მოსახლეობა დარეგისტრირებული ჰყავდათ, როგორც ქალაქად მცხოვრები! რამდენადაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვა გათვალისწინებული იყო ასევე სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხები საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში 86 თეთრით ნაკლებია. ამდენად, არასწორი რეგისტრაციის შედეგად მიმწოდებლები ზედმეტად ითხოვდნენ ასეთ მოსარგებლეებზე დაფინანსებას“,** — აცხადებს სოციალური მომსახურების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მაია შავშიშვილი.

ჯარიმების ამოღება სამინისტრომ დაკავების გზით დაიწყო ანუ თანხას, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში კლინიკებს ერიცხებოდათ, აკლდებოდა 50% და სამედიცინო დაწესებულებებს ნახევარი ერიცხებოდათ, რაც კლინიკებმა გააპროტესტეს. მათი თქმით, ასეთ პირობებში საქმიანობის გაგრძელებას უბრალოდ ვერ შეძლებდნენ.

სწორედ ამის შემდეგ ჩაერთო საქმეში ბიზნესომბუდსმენი — სამედიცინო დაწესებულებებს კი, სანქციების ნაწილი ჩამოეწერათ. შედეგად, დღეს კლინიკების დავალიანება 13.5 მილიონი ლარია. სოციალური მომსახურების სააგენტომ კი დარჩენილი თანხის გადახდის უფრო მოქნილი მექანიზმი შეიმუშავა.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის წესის შემდეგ მმართველ გუნდსა და მთელ დანარჩენ საზოგადოებას შორის უთანხმოების მიზეზად ვენეციის კომისიის დასკვნა იქცა, რომელშიც უმრავლესობის კანონპროექტი ფასდება. როგორც მოსალოდნელი იყო, კომისიის რეკომენდაციებსა და შეფასებებს მხარეები განსხვავებულად აღიქვამენ. თუმცა მთავარია, „ქართული ოცნება“ გაითვალისწინებს თუ არა და თუ კი, კონკრეტულად რომელ რეკომენდაციას, ანუ იქნება თუ არა ეს გზა რეალური ცვლილებებისკენ მიმავალი?! უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, არასამთავრობო სექტორის მსგავსად, რეკომენდაციების ჯეროვან იმპლემენტაციას ელის.**

# დაუნდობელი ბრძოლა სასამართლოსთვის: რას დათმობს „ოცნება“

## რა თქვა ვენეციის კომისიამ?!

კომისია სასამართლოს სრულად, ოცივე მოსამართლით მმართველი გუნდის მიერ დაკომპლექტებას „ექსტრაორდინარულს“ უწოდებს:

**„საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეყოლება მოსამართლეთა ახალი შემადგენლობა, დანიშნავს რა 18-20 ახალ მოსამართლეს უვადოდ, პენსიაში გასვლამდე. ახალი კონსტიტუცია ამაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას პარლამენტს აკისრებს. ეს გულისხმობს, რომ დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას პრაქტიკულად ევალება ახალი უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება, რომლის შემადგენლობა მომდევნო 20-30 წლის პერიოდში შესაძლოა, უცვლელი დარჩეს. ეს ძალიან უჩვეულო და ექსტრაორდინარული სიტუაციაა“.**

ვენეციის კომისიის დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ პარლამენტმა მხოლოდ იმ რაოდენობის მოსამართლეები უნდა დანიშნოს, რაც უზენაესი სასამართლოს მუშაობისთვისაა აუცილებელი.

კომისიის საკვანძო რეკომენდაციები ასე გამოიყურება: კანდიდატი რაც შეიძლება ასაკოვანი და გამოცდილი, ასევე დამოუკიდებელი უნდა იყოს;

უნდა გადაიხედოს არამოსამართლე კანდიდატის მიმართ მოთხოვნა, რომ მას აუცილებლად ჰქონდეს ჩაბარებული სასამართლო კვალიფიკაციის გამოცდა;

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ფარული კენჭისყრა უნდა გაუქმდეს. კანდიდატების კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და პროცედურა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს. კანდიდატები რანჟირებულები უნდა იყვნენ იმ ქულების მიხედვით, რომელსაც შეფასების პროცედურის შედეგად მიანიჭებენ. ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ პარლამენტს დასამტკიცებლად საუკეთესო კანდიდატები წარედგინოს.

კანდიდატების არჩევისა და დანიშვნის გადაწყვეტილებები უნდა საჩივრდებოდეს ორგანული კანონის 354-ე მუხლის გათვალისწინებით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომლის კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განიხილება, სრულად უნდა იყოს გამიჯნული კანდიდატების შერჩევისა და წარდგენის ყველა პროცედურისგან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი მიესალმება კომისიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა სრულად არ უნდა დააკომპლექტოს:

**„როგორც ჩანს, ვენეციის კომისიას გაუჩნდა ეჭვი, რომ პარლამენტსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის არაფორმალური შეთანხმება არსებობს და არც საბჭოს უცხადებს ნდობას, არც პარლამენტს: ვენეციის კომისიამ თქვა, რომ უზენაესი სასამართლო ამ პარლამენტმა სრულად არ უნდა დააკომპლექტოს; შესაძლებელია, ეს კანონმდებლობაში არ აისახოს, მაგრამ პოლიტიკური მიდგომა უნდა დაფიქსირდეს. ვაკანსიათა რაოდენობა საკმაოდ მაღალია: ამჟამად — 18, დაემატება კიდევ ორი და ჯამში 2019 წლისთვის უზენაეს სასამართლოში 20 ვაკანსია იქნება. მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის დაკომპლექტება ეტაპობრივად მოხდეს“,** — განაცხადა ნაზი ჯანეზაშვილმა.

ჯანეზაშვილი ასევე იზიარებს რეკომედაციას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობის საკითხის გადახედვის თაობაზე:

**„ვენეციის კომისია მრავალფეროვნებას უჭერს მხარს. უზენაესი სასამართლო, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, იმგვარი ორგანოა, სადაც მოსამართლეები გადაწყვეტილებას განმარტავენ და სასამართლოს პრაქტიკასა და ბედს განსაზღვრავენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, დაკომპლექტება რაც შეიძლება, მრავალფეროვანი იყოს და მასში სხვადასხვა დარგის იურისტები შედიოდნენ“.**

ვენეციის კომისიის დასკვნის შინაარსი მოულოდნელი არ აღმოჩნდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრ ანა დოლიძისთვის.

მისი აზრით, მმართველ გუნდს კომისიის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება იმიტომ არ სურს, რომ ასეთ შემთხვევაში „სასამართლოში გაბატონებულ კლანს მოცდა მოუწევს“.

## რას დათმობს მმართველი გუნდი

არასამთავრობო სექტორისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გუშინ ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდნენ და მისი სამოქმედო გეგმა მოისმინეს.

ნაზი ჯანეზაშვილის განცხადებით, „მართალია, კონტექსტიდან მოგლეჯით თუნდაც ორიოდ რეკომენდაციის გათვალისწინებაც წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს არ არის გზა არსებითი ცვლილებებისკენ“:

**„თუ მმართველი გუნდი ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებს, არსებითად სხვაგვარ ვითარებას მივიღებთ, მაგრამ როგორც დღეს პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, იგი საპარლამენტო უმრავლესობასთან ორი კუთხით აპირებს მსჯელობას: ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში რეკომენდაციის განხილვა და გამოცდის გაუქმება. გამოცდის გაუქმება მოგვცემს შესაძლებლობას, მეტი კონკურსანტი გვყავდეს, მაგრამ საბოლოო ჯამში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანდიდატებს დაასახელებს თუ არა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად, ეს ცალკე თემაა, რადგან გადაწყვეტილების მიღების წესი იგივე რჩება. ამასთან, თუ მმართველი გუნდი ინტერესთა კონფლიქტის საკითხს გაითვალისწინებს იმგვარად, როგორც ამას ვენეციის კომისია გვთავაზობს, ისე არ მოხდება, როგორც ხდებოდა, როდესაც იუსტიციის საბჭოს წევრები თავადვე ასახელებდნენ საკუთარ თავს კანდიდატებად. ისინი სრულად გამოეთიშებიან მთლიან პროცესს და არც სხვა კანდიდატების შეფასების შესაძლებლობა ექნებათ. ამით შესაძლოა, რაღაც შეიცვალოს, მაგრამ ეს არსებითი ცვლილება არაა. მთლიანი სურათის შესაცვლელად სხვადასხვა პროგრესული იდეების გათვალისწინება გვჭირდება და არა მხოლოდ კონტექსტიდან მოგლეჯით ერთი ან ორი რეკომენდაციის გათვალისწინება“.**

როგორც ჯანეზაშვილმა „აქცენტს“ განუცხადა, ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ჩინჩალაძისგან განსხვავებით, ამომრჩევლის განწყობა უნდა აინტერესებდეს:

**„ვფიქრობ, ხელისუფლებას საკუთარი პოლიტიკური მომავალი უნდა ადარდებდეს. მიხეილ ჩინჩალაძეს სხვა ინტერესი აქვს და ამომრჩეველს არ უყურებს ისე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს. ის მართავს სისტემას ისე, როგორც აწყობს. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ ქართველი ხალხის ინტერესი არ არის ჩინჩალაძის სასამართლო. ჩვენ გვინდა სასამართლო, სადაც თავისუფლად მივალთ, გადაწყვეტილებას ისე დაველოდებით, რომ არ გვექნება ეჭვები მის სამართლიანობასთან დაკავშირებით“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ თავმჯდომარე გიორგი მშვენიერაძე „აქცენტს“ იმ რეკომენდაციებს უსახელებს, რომელთა გათვალისწინების პირობაც ირაკლი კობახიძემ დღევანდელ შეხვედრაზე დადო:

**„რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თითოეული რეკომენდაციის გათვალისწინება და ჩვენი მიზანიც ეს იყო. ვნახოთ, პარლამენტის თავმჯდომარის დაპირების შემდეგ რომელი რეკომენდაციები დარჩება. პარლამენტის თავმჯდომარემ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ არსებულ რეკომენდაციაზე თქვა, რომ გაითვალისწინებს, ასევე თქვა, რომ შეეცდება, დეპუტატები დაარწმუნოს გამოცდის მოხსნის აუცილებლობაში. იყო საუბარი მეორე ფარდობით კენჭისყრაზე უარის თქმაზეც, რომ მესამე ტურში კანდიდატები ქულათა სისტემით გადავიდნენ, კანონით განისაზღვროს ინფორმაციის ძირითადი ნუსხა, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების შესახებ მოაგროვებს და ეს ინფორმაცია იყოს საჯარო, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა. ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც ჩვენს მიერაც იყო შეთავაზებული. ირაკლი კობახიძემ უარი თქვა იმ რეკომენდაციის გაზიარებაზე, რომელიც გადაწყვეტილების დასაბუთებას ეხება და ძალიან მნიშვნელოვანია; უარი თქვა იმაზეც, რომ ღია კენჭისყრით მოხდეს კანდიდატების შერჩევა. თითოეული რეკომენდაცია არსობრივად ზრდის მმართველი გუნდის მიერ მომზადებული კანონპროექტის ხარისხს, მაგრამ იდეალური პროცესისთვის საჭიროა არა მხოლოდ იდეალური კანონი, არამედ იუსტიციის კარგი უმაღლესი საბჭო ნდობის თვალსაზრისითაც, როგორც ამას ვენეციის კომისიაც აღნიშნავს და ვფიქრობ, კვალიფიკაციის მხრივაც“.**

რაც შეეხება კომისიის რეკომენდაციას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შემდეგი მოწვევის პარლამენტმა დანიშნოს, მშვენიერაძის ინფორმაციით, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „ეს კანონპროექტში გასათვალისწინებელი საკითხი არ არის“:

**„შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ 18-ვე მოსამართლე ვერ ავირჩიოთ და ასეც გამოვიდესო“,** — დასძინა მან.

## თამარ ჩუგოშვილი: უზენაეს სასამართლოში გარკვეული რაოდენობის ვაკანსიები შესაძლოა, შემდეგი მოწვევის პარლამენტს გადაეცეს

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილის თქმით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებით დაკომპლექტება აუცილებელია და ეს დროულად არის გასაკეთებელი:

**„საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე მოსამართლე რომ არ დანიშნოს, მართლა გაჩერდება უზენაესი სასამართლო, მართლა გაჩერდება მართლმსაჯულების პროცესი და ძალიან მძიმე შედეგებს მივიღებთ. რვა მოსამართლე რჩება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში. რაღაც რაოდენობის მოსამართლეებით აუცილებლად დასაკომპლექტებელია უზენაესი სასამართლო და ეს დროულად გასაკეთებელია“,** — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

მისი მოსაზრებით, სრულიად შესაძლებელია, რომ უზენაეს სასამართლოში გარკვეული რაოდენობის ვაკანსიები შემდეგი მოწვევის პარლამენტს გადაეცეს, რომ არ იყოს ზედმეტი წუხილი საზოგადოებაში.

მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ და არც სხვებისგან ველოდები ამას...

# ვეძებთ პროფესიონალ-პატრიოტებს!

*საძართველოს სტატისტიკის ერთიანი სამსახურის მონაცემებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 46% არ ფლობს არც პროფესიულ, არც უმაღლეს განათლებას და ვერ უპასუხებს შრომის ბაზრის გამოწვევებს. რაიმე პროფესიის ფლობის შემთხვევაშიც კი კვალიფიკაცია აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს; უმაღლესი განათლების ათიათასობით დიპლომი ფარატინა ქაღალდად გადაიქცა. ოდესღაც წარმატებული უამრავი ადამიანი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ჩვენი საზოგადოების უდიდესი ტრაგედიაა, განსაკუთრებით — ასაკოვანი მოქალაქეების შემთხვევაში, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც უმუშევარია. წლების მანძილზე ამ ადამიანებისთვის უსახსრობის შემთხვევაში პროფესიული მომზადება-გადამზადების შანსი ფაქტობრივად არ არსებობდა. პროფესიული სასწავლებლების (კოლეჯების) სისტემის დაარსების შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა.*

*ამ სიახლის მთავარი უპირატესობები შემდეგში მდგომარეობს: სწავლება-გადამზადებისთვის ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს; სწავლას სახელმწიფო აფინანსებს;*

*ოქტომბერში მიღებული კანონის შესაბამისად, გრძელვადიანი სწავლების პარალელურად, ამოქმედდა მოკლევადიანი (4-6-თვიანი, ან მაქსიმუმ ერთწლიანი) სასერტიფიკატო პროგრამები;*

*როგორც ასაკოვან მოქალაქეებს, ისე ახალგაზრდებს შეუძლიათ, ოპერატიულ რეჟიმში აითვისონ უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ დასაქმებასა და სოციალურ განვითარებაში დაეხმარებათ.*

# პროფესია ფრთებია!

## წინსვლის შანსი, რომელიც ყველამ უნდა გამოიყენოს

## გზა რეალური პროფესიონალიზმისკენ

**გრძელვადიანი** **პროგრამის დიპლომი ან მოკლევადიანი სწავლების სერტიფიკატი არის გზა რეალური პროფესიონალიზმისა და დასაქმებისკენ.**

პროფესიონალთა სიმწირიდან გამომდინარე, კომპანიებს ხშირად სრულიად არაადეკვატური კვალიფიკაციის კადრების აყვანა უწევთ. ამ პრობლემის დაძლევის ერთადერთი გზა პროფესიული განათლების სისტემის სწრაფი განვითარება და მოსახლების ფართო ფენების მოზიდვაა.

აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე **თამარ სამხარაძე**:

**— დამსაქმებლები ჩართული არიან სასწავლო პროგრამის შემუშავების, სწავლებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში, ვინაიდან უკეთ იციან, როგორი კვალიფიკაციის სპეციალისტები სჭირდებათ. შემიძლია, დავასახელო ფერმერთა ასოციაცია, მეღვინეობისა და სამშენებლო კომპანიები, სასტუმროები.**

კოლეჯების სტუდენტები პრაქტიკას რომელიმე კომპანიის ბაზაზე გადიან. 2016 წლიდან ამოქმედდა დუალური პროფესიული სწავლების სისტემა, რომელიც გულისხმობს პროგრამის შემუშავება-განხორციელებას კონკრეტულ დამსაქმებელთან შეთანხმებით. M2-მა დიდი ინვესტიცია გაიღო, რათა ზესტაფონში ძველი, ამორტიზებული შენობა თანამედროვე, ყველანაირად აღჭურვილ სასწავლებლად გარდაქმნილიყო. სწავლა დუალური მოდელით განხორციელდება და სტუდენტები პრაქტიკას M2-ის სამშენებლო ბაზებზე გაივლიან.

სამი წლის წინათ დაგვიკავშირდა „საქართველოს რკინიგზა“ და ერთობლივი ძალებით თემქაზე დავაფუძნეთ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, სადაც აგრეთვე დუალური სწავლების სისტემა იმოქმედებს.

დამსაქმებელთან თანამშრომლობის გაღრმავება დასაქმებაზეც აისახა. 2014 წელს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 33%-ს შეადგენდა, მიმდინარე წლის იანვარში კი უკვე 60%-ს გაუტოლდა.

საგულისხმო დეტალი: სამინისტრო მუშაობს ე.წ. „მეორე შანსის“ პროგრამებზე. ზრდასრულ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე ვერ მოახერხეს საშუალო სკოლის პროგრამის დასრულება, ექნებათ შესაძლებლობა, გამოასწორონ ეს ხარვეზი.

## კოლეჯების კურსდამთავრებულები ხშირად უფრო ადვილად და მალე საქმდებიან

„**გლდანის** პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ნოდარ ხარაზიშვილი** ამბობს, რომ ხანდახან ბიზნესი თავადაც უკვეთავს კოლეჯს, კონკრეტულად რა პროფილის სპეციალისტები სჭირდება:

**— რამდენიმე კომპანიისთვის მათზე მორგებული კურსები შევქმენით (მაგალითად, ავტომობილის ელექტროშემკეთებლის მიმართულებით). სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ვახორციელებთ სამუშაოს მაძიებელთა, პრობაციონერთა და მათი ოჯახის წევრთა, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებას.**

2015 წლიდან სისტემა გადავიდა ე.წ. მოდულურ სწავლებაზე. საგნობრივ სწავლებაში სტუდენტი კვალიფიკაციას იღებდა თითოეულ საგანში გარკვეული ქულების დაგროვებით, მოდულური სწავლების შემთხვევაში კი პროგრამა გაიყო ცალკეულ მოდულებად, რომელთაგანაც თითოეული გარკვეული უნარ-ჩვევების ნაკრებია.

მოდულური სწავლება მომზადდა ბიზნესის ფართო ჩართულობით და მის საჭიროებებზეა მორგებული. სტუდენტს შეუძლია, კონკრეტულ მოდულში გარკვეული კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი აიღოს და შეძენილი უნარ-ჩვევების საფუძველზე დასაქმდეს.

ახლა წარმოდგენილები ვართ ცხრა სამოდულო პროგრამით: კომპიუტერის მიმართულება; ოფისი, ბუღალტერია, საფინანსო სერვისი. ამ თვეშივე ვგეგმავთ რამდენიმე მოდულის დამატებას: ამზომი ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების სპეციალისტის, მობილური მოწყობილობების შემკეთებლის და სხვა მიმართულებით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები 50%-დან 80%-მდე გაიზარდა. ავტომობილების დიაგნოსტიკოსის, სავალი ნაწილის ძრავის შემკეთებლის პროგრამაში დასაქმების მაჩვენებელი 80%-ზე გავიდა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კოლეჯის დირექტორ **მამუკა ჯანჯალიას** განცხადებით, სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი 95%-დან 100%-მდე მერყეობს:

**— დღეს კოლეჯების კურსდამთავრებულები ხშირად უფრო ადვილად საქმდებიან, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონენი. ყოფილა შემთხვევები, როცა მოსულა დამსაქმებელი და უთქვამს, კონკრეტულად რამდენი და რა კვალიფიკაციის კადრი სჭირდებოდა. ჩვენი პარტნიორებია „სილქნეტი“, ახალი ქსელები და დეველოპერული კომპანიები. სტუდენტები თავადაც აარსებენ კომპანიებს. შემიძლია, დავასახელო კომპანია WEB HOUSE, რომელმაც ჩვენი ინტერნეტ-გვერდი მოამზადა.**

მოქალაქეები უკვე აცნობიერებენ პროფესიული განათლების უპირატესობებს. მისი სპეციფიკა და ძირითადი ღირსება ის არის, რომ უდიდესი ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში. სწორედ ამიტომ არის შემთხვევები, როდესაც უმაღლესის სტუდენტები პარალელურად კოლეჯში დადიან. ზოგი სტუდენტი სამ-ოთხ პროგრამაზეც სწავლობს. ერთ პროგრამას რომ ამთავრებენ, „იწამლებიან“ და აგრძელებენ სწავლას სხვა მიმართულებით. ზოგი პარალელურად მუშაობს კიდეც.

ვფიქრობ, მომავალში თავად ბიზნესმენები მოვლენ იმ აზრამდე, რომ კოლეჯებთან კავშირი მათთვისვეა მომგებიანი. დასავლეთის ქვეყნებმა ეს გზა დიდი ხნის წინათ გაიარეს.

**ცნობისთვის:** სურვილის შემთხვევაში კოლეჯების კურსდამთავრებულთათვის უკვე აღარც უმაღლესების კარია დახშული. 2018 წლის შემოდგომაზე პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ. გრძელვადიან (მინიმუმ სამწლიან) სწავლებაში ჩაშენდება საშუალო განათლების კომპონენტი და დასრულების შემდეგ გაიცემა დიპლომი, რომელიც ზოგადი საშუალო განათლების დიპლომს გაუთანაბრდება.

## პროფესიული სწავლება წინსვლის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს

**თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი რეალობისთვის ფეხის ასაწყობად აუცილებელია პრაქტიკული უნარ-ჩვევების მუდმივი გადახალისება. პროფესიული სწავლების სისტემა სწორედ ამ გამოწვევაზეა მორგებული.**

ინფორმაციული ტექნოლოგიების კოლეჯის კურსდამთავრებულ ლანა შურღაიას აზრით, კოლეჯის დიდი უპირატესობა სწორედ პრაქტიკული სამუშაოებია, რაც შემდგომში თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობებს იძლევა:

— ვებ-საიტზე მუშაობისას კოლეჯმა მოგვცა შესაძლებლობა, პრაქტიკულად გამოგვეყენებინა მიღებული ცოდნა, რაც მისი მხრიდან დიდი თანადგომა იყო. კომპანია WEB HOUSE-ის შექმნის იდეაც ჯგუფელებს სწორედ სწავლის პერიოდში გაგვიჩნდა. ჩვენი კომპანია აქტიურად მოღვაწეობს ბაზარზე და საკმაოდ კონკურენტუნარიანია. ვთანამშრომლობთ კომპანია IT HOUSE-თან, რომელიც ასევე ჩამოყალიბდა ITVET-ის სტუდენტების მიერ და მომხმარებელს მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს.

გეოგრაფი და ჟურნალისტი **თინათინ მოსიაშვილი** წლებია, მედიაში საქმიანობს. ამჟამად ორ უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობს. ბოლო დროს თინათინის ოჯახი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ბევრი სხვა ქართული ოჯახის მსგავსად, მასაც აქვს სოფელი და ვენახი, ამიტომ გადაწყვიტეს, ამ საქმისთვის უფრო პროფესიულად შეეხედათ:

**— გადავწყვიტე, ღვინის თემა უკეთესად შემესწავლა. ახლა კოლეჯ „იკარუსში“ სომელიეს პროფესიას ვეუფლები. ჯგუფში თოთხმეტნი ვართ, 120-მდე განცხადება იყო და საკმაოდ მაღალი კონკურსი გავიარეთ — 100-დან 93 ქულა უნდა აგვეღო. ჯგუფელების ასაკი 20-დან 55-მდე მერყეობს. ყველას ან უკვე აქვს უმაღლესი განათლება, ან ახლა სწავლობს. ძალიან საინტერესო ხალხია, ჩემი სტუდენტებისგან განსხვავებით, კარგად იციან, რისი მიღწევა სურთ. რამდენიმე თავად აწარმოებს ღვინოს, ერთმა ქილის ღვინო ჩამოასხა, ორი ღვინის მაღაზიის გახსნას გეგმავს, კიდევ რამდენიმე ტურისტულ ბიზნესშია ჩართული — ან სასტუმრო აქვს, ან სააგენტოში მუშაობს, ან გიდია და ღვინის სამშობლოში ღვინის თემის უკეთ ცოდნა სჭირდება.**

უნივერსიტეტისგან განსხვავებით, აქ აქცენტი პრაქტიკული უნარების ათვისებაზეა გადატანილი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. დავდივართ ღვინის მარნებში, დეგუსტაციებზე. მიღებულ ცოდნას ჩემს საქმიანობაშიც ვიყენებ. ასევე გავიარე ტურიზმის მენეჯმენტისა და ბუღალტერიის მოკლე კურსი. თავად არ ვმუშაობ ბუღალტრად, მაგრამ ტურისტული კომპანია დავაფუძნეთ და მიმაჩნია, რომ საფინანსო საქმეებში ხელმძღვანელიც უნდა ერკვეოდეს.

## არა ფარატინა დიპლომი, არამედ პროფესიონალიზმი

**საშუალო** **და ასაკოვან თაობას კარგად ახსოვს დრო, როდესაც ყველას სურდა, შვილი „დოსტური“ გამოსულიყო. უმაღლესი განათლების საკრალიზაციამ და უმაღლესებში მოსახვედრად გაჩაღებულმა მარათონმა ის მოგვიტანა, რომ სწავლების ხარისხი გაუარესდა და დიპლომები ფარატინა ქაღალდებად იქცა. საბედნიეროდ, „დიპლომიანი სასიძო-საპატარძლოების“ სინდრომი ნელ-ნელა წარსულს ბარდება. უმაღლესი განათლების სისტემას თავისი ადგილი აქვს. ამასთან, ვისაც მეცნიერებაში მოღვაწეობა სურს, სწორედ უმაღლესი განათლების რგოლში მოუწევს სწავლა, მაგრამ პროფესიათა დიდი ნაწილის ასათვისებლად სწორედ კოლეჯების ფორმატია აუცილებელი.**

საზოგადოებაში უკვე დაწყებულია ამის გაცნობიერების პროცესი. მოქალაქეები უკვე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ დღეს უმაღლესი განათლების დიპლომი კი არა, პროფესიონალიზმია აქტუალური. გაჩნდა მოსაზრება, რომ დროთა განმავლობაში ახალგაზრდათა ნაწილი უპირატესობას სწორედ პროფესიულ კოლეჯებს მიანიჭებს.

აი, რას ამბობს ამ საკითხზე „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ კურსდამთავრებული **ამირან ჩაბაკაური**:

— მიმაჩნია, რომ ძალიან სწორი მოსაზრებაა. წარმატებისთვის უმაღლესი განათლება სულ არ მჭირდება. პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებისას ირჩევ იმ საგანს, რომელიც გაინტერესებს და მოგწონს. მერე კი მთავარია, პროფესია კარგად შეისწავლო და ცოდნა გაიფართოო, რომ გამოადგე საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც. თუკი შენი საქმის პროფესიონალი ხარ, მუდამ წარმატებული იქნები.

პროფესიულ სასწავლებლებს ახლა ცხელი დღეები უდგათ: გრძელვადიან პროგრამებზე მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს. რეგისტრაციის გავლას და ტესტირების პირობების გაცნობას აქ შეძლებთ: https://vet.emis.ge/#/

ხოლო ინფორმაცია საქართველოში მოქმედი პროფესიული სასწავლებლებისა და შემოთავაზებული პროგრამების შესახებ შეგიძლიათ, აქ მოიძიოთ: http://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo

თუ რეგისტრაციას რაღაც მიზეზით ვერ ასწრებთ, შეგახსენებთ: წინ კიდევ საშემოდგომო მიღებაა.

**მედეა გოგსაძე**

# საქართველოს სოფლებში კვალიფიციური აგრონომების მწვავე დეფიციტია!

**გლეხების ნაწილს მოსავალი ჯერ კიდევ მამაპაპური მეთოდებით მოჰყავს, რაც არაეფექტიანია და მცირემიწიანი ფერმერები რეალურ შემოსავალს ვერ იღებენ. რატომ არ არიან მრავლად კვალიფიციური აგრონომები, რა არის ამის გამომწვევი მიზეზები და შეიცვლება თუ არა მდგომარეობა მომავალში?!**

კახეთში იმ ადამიანების ნაწილი, ვინც მიწათმოქმედებას მისდევს, აგრონომების დეფიციტზე ლაპარაკობს. გლეხები ამბობენ, რომ ბევრი მათგანი მიწას ამ დრომდე მამაპაპური მეთოდებით ამუშავებს, რის გამოც წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება მოსავლის რაოდენობა, მიწები კი მოუსავლიანი გახდა. მიზეზად ასახელებენ აგროვადების დაუცველობასა და ქიმიკატების არასწორ გამოყენებას. კახელმა ბიძინა ჭაბაშვილმა, როგორც თავად ამბობს, კარგად იცის, რომ საჭიროა აგრონომი, თუმცა მის გარშემო ასეთი პროფესიის ადამიანი უბრალოდ არ არსებობს.

**„წესით, აგრონომს უნდა ჰკითხო ყველაფერი, რაც მიწათმოქმედებას ეხება და უკეთესად წავა ფერმერის საქმე, თუმცა, სამწუხაროდ, სპეციალისტები არ გვყავს. მინდა, რომ ჩემი ამბავი მიიტანოთ მთავრობამდე.მიმაჩნია, რომ, თუ გვინდა ქვეყანა და ხალხი გადარჩეს, ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა უნდა გაიზარდოს“.**

იმის გამო, რომ რეგიონში აგრონომების დეფიციტია, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ნაწილმა შესაბამისი ინფორმაციის მიღება ინტერნეტიდან დაიწყო. ჩვენ მიერ გამოკითხული ადამიანები ამბობენ, რომ ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაცია სასარგებლო, თუმცა ზოგადია. ამიტომ მიიჩნევენ, რომ სოფლებში კვალიფიციური აგრონომების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. კონკრეტულ მუნიციპალიტეტებსა და მეურნეობებს ინდივიდუალური მიდგომები სჭირდებათ.

**„არ ვიცნობ აგრონომს, თუ გვყავს, ესეც კი არ ვიცი. ქიმიკატების მაღაზიაში ჰყავთ კონსულტანტი და მას ვეკითხები, თუ როგორ უნდა გამოვიყენო პრეპარატი და სასუქი სწორად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ასეთ ინფორმაციას ინტერნეტიდან ვიღებ, რომელიც ზოგადია“.**

**„აგრონომი ისეთივე საჭიროა სოფლის მეურნეობაში, როგორც მედიცინაში პედიატრი, თერაპევტი და ქირურგი“,** — ამბობს **ბექა გონაშვილი,** კომპანია „აგროქიზიყის“ ხელმძღვანელი, რომელიც ქვეყანაში აგრონომების სიმცირის მხრივ არსებულ მდგომარეობას ძალიან რთულს უწოდებს. ბექა გონაშვილის განცხადებით, აგრონომების სიმცირე იმან გამოიწვია, რომ წლების განმავლობაში ამ პროფესიაზე არ იყო მოთხოვნა, თუმცა, მისივე თქმით, ახლა ვითარება იცვლება.

**„წლების განმავლობაში ეს პროფესია არ იყო მოთხოვნადი. შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა ფერმერმა თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე ისწავლა რაღაც შედეგების მიღება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სფეროში სპეციალისტი აღარაა საჭირო. ძალიან ბევრი ტექნოლოგიური სიახლეა ბაზარზე და ზოგადად, მსოფლიოში, ჩვენ კი ამ ყველაფერს ჩამოვრჩებით. ამიტომაც თურქული პამიდორი უფრო იაფი ღირს, ვიდრე ჩვენი, ქართულ მიწაზე მოყვანილი“.**

რამდენი ადამიანი ეუფლება საქართველოს უმაღლესსა და პროფესიულ სასწავლებლებში აგრონომის პროფესიას ჩვენ ამ ინფორმაციის მიღება გვსურდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, თუმცა უწყების პრესსამსახურში გვითხრეს, რომ მათ ასეთი მონაცემები არა აქვთ და ინფორმაცია შეგვიძლია, უშუალოდ სასწავლებლებიდან მივიღოთ.

ჩვენ ერთ-ერთ სტუდენტს, **მაიკო ელიზბარაშვილს** დავუკავშირდით, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აგრონომის პროფესიას ეუფლება. ის ახლა მესამე კურსზეა. მ. ელიზბარაშვილი ამბობს, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის საკუთარი მეურნეობის განვითარებას გეგმავს და ამავდროულად სამსახური გარანტირებული აქვს, რადგან, ის წარმოშობით სიღნაღიდან არის და ამ მუნიციპალიტეტში უკვე წლებია, აგრონომის თანამდებობა ვაკანტურია.

**„ჩვენთან, სტუ-ში მესამე კურსზე ჩარიცხული ვართ 50 სტუდენტი, მაგრამ ამ 50-დან მხოლოდ 15 სტუდენტი ვესწრებით ლექციებს. ბევრი იმიტომ აბარებს, რომ სწავლა უფასოა. ზოგ ბიჭს კი სასწავლებელი მხოლოდ სამხედრო სამსახურისთვის თავის ასარიდებლად სჭირდება. ძალიან ცოტა იღებს საფუძვლიან ცოდნას. სწავლას რომ დავამთავრებ, ვაპირებ, რომ დავბრუნდე კახეთში. რეგიონში აგრონომები არ ჰყავთ, ამიტომ მე სოფელში რომ ჩავალ, სამუშაო ადგილი გარანტირებული მექნება“,** — განაცხადა სტუდენტმა მაიკო ელიზბარაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ აგროქიმიკატების რეალიზატორებს კონსულტანტები ჰყავთ, რომლებიც გლეხებს რჩევას აძლევენ შხამ-ქიმიკატების მოხმარებისა და აგროვადების შესახებ, თუმცა ეს იმ შეთხვევაში, თუ გლეხი მათ მაღაზიაში მივა პრეპარატების შესაძენად. რეგიონებში მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სადაც აგრონომებიც არიან, თუმცა კახეთის სოფლების ნაწილში ამბობენ, რომ ამ უწყების მუშაობის შესახებ არ იციან და საჭიროა, აგრონომებმა სეზონზე უშუალოდ სოფლებში იმუშაონ.

**გიორგი ალადაშვილი**

# ფრთხილად, კიბერთაღლითები გვიტევენ!



## საბანკო ასოციაცია მომხმარებელს კიბერთაღლითობის შესახებ აფრთხილებს

საბანკო ასოციაცია მომხმარებელს კიბერთაღლითობის შესახებ აფრთხილებს. როგორც ასოციაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ბოლო პერიოდში დაფიქსირდა კიბერთაღლითობის რამდენიმე შემთხვევა, რომელმაც ფინანსური ზარალი მიაყენა მომხმარებელს.

**„აღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა, გაგიზიაროთ რჩევები, თუ როგორ დაიცვათ თავი ონლაინ კიბერთაღლითობისგან, კერძოდ კი, დანაშაულის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმაზე „ფიშინგზე“ მოგაწვდით ინფორმაციას.**

**„ფიშინგი“ არის კიბერდანაშაულის ფორმა, რომლის მიზანია თაღლითური გზით ინტერნეტ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების მოპოვება.**

**მაგალითად: კიბერთაღლითები ქმნიან კომპანიების ყალბ, მიმსგავსებულ ვებგვერდებს და ცდილობენ, მომხმარებელს მოტყუებით შეაყვანინონ თავიანთი მონაცემები. ან აგზავნიან ელ-ფოსტას მათი სახელით, სადაც მომხმარებელს სთხოვენ, შეიყვანოს პერსონალური მონაცემები (პაროლი, ბარათის ნომერი და ა.შ.). ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მონაცემების შეყვანამდე გადაამოწმოთ საიტის მისამართი და დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად ბანკის გვერდზე ხართ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი პაროლი ან ბარათის ინფორმაცია ბოროტმოქმედების ხელში ჩავარდება.**

**ძირითადად კომუნიკაცია ხორციელდება კომპანიის სახელთან მიმსგავსებული სახელით, ელ-ფოსტის ან სოციალური ქსელის მეშვეობით.**

**იმისთვის რომ თავი დავიცვათ აღნიშნული თაღლითობისგან:**

- **არ შეიყვანოთ პირადი ინფორმაცია საეჭვო ვებგვერდზე.**
- **ნუ ენდობით იმეილებს, რომლებიც თქვენგან პირადი ინფორმაციის ან საბანკო დეტალების შეყვანას ითხოვს. თქვენი ბანკი არასდროს მოგთხოვთ სენსიტიურ ინფორმაციას ელ-ფოსტით.**
- **გაითვალისწინეთ, რომ ბანკისგან მიღებული სმს კოდები, რომლებიც გამოიყენება ავტორიზაციისათვის, შეიყვანეთ მხოლოდ ბანკის ინტერნეტ ბანკინგის მისამართზე.**
- **პირადი ინფორმაციის, მაგალითად, ბარათის მონაცემების ინტერნეტში შეყვანისას, ყოველთვის დაიკვირდით, რომ იმყოფებით სწორ მისამართზე.**
- **გადაამოწმეთ ვებგვერდის მისამართი. გახსოვდეთ, რომ გაყალბებული ვებგვერდის მისამართი შეიძლება მიმსგავსებული იყოს ორიგინალთან და შეცვლილი იყოს ერთი ან რამდენიმე სიმბოლო.**
- **არ ენდოთ შეტყობინებებს, რომლებშიც თქვენგან სასწრაფოდ ითხოვენ რაიმე ქმედებას. ეს ხშირად იმის ნიშანია, რომ კიბერდამნაშავესთან გაქვთ საქმე.**
- **გადაიკითხეთ ელ-ფოსტა. თუ ის ნაკლებად პროფესიონალურად გამოიყურება ან შეიცავს შეცდომებს, შესაძლებელია, გამომგზავნი კიბერდამნაშავეა.**

**როგორც წესი, კიბერდამნაშავე მომხმარებლისთვის კარგად ნაცნობი იმიჯით ცდილობს მოტყუებას. ასე რომ, აუცილებელია, გადაამოწმოთ ყველაფერი, რაც საეჭვოდ მოგეჩვენებათ. გთხოვთ, იყოთ ყურადღებით და შეიყვანოთ თქვენი მონაცემები მხოლოდ ავთენტურ ვებგვერდებზე. მხოლოდ ასე შეძლებთ რისკების მინიმუმამდე შემცირებას“,** — აცხადებენ საქართველოს საბანკო ასოციაციაში.

# დედაქალაქის მასშტაბით ლითონის საფეხმავლო ხიდების დემონტაჟი დაიწყო

**თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა დედაქალაქის მასშტაბით ლითონის საფეხმავლო ხიდების დემონტაჟი დაიწყო. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან ის ლოკაციები შეთანხმდა, სადაც ლითონის ხიდები მოიხსნება და ქვეითთა ზებრა-გადასასვლელები მოეწყობა.**

დედაქალაქის მერი კახა კალაძე შარტავას ქუჩის №7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საფეხმავლო ხიდის დემონტაჟის პროცესს გაეცნო. აღნიშნული მისამართის გარდა, საფეხმავლო ხიდების ნაცვლად, შუქნიშნებით რეგულირებული ქვეითთა ერთდონიანი გადასასვლელები კიდევ 19 ლოკაციაზე მოეწყობა.

კახა კალაძის თქმით, რკინის კონსტრუქციები იქ მოიხსნება, სადაც ინფრასტრუქტურა მომზადებულია ქვეითთა გადაადგილებისთვის. როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გალაქტიონ ბუაძემ განაცხადა, თბილისის მერიის მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების შესაბამისად, დედაქალაქის ქუჩები ქვეითთათვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ველოსიპედისტებისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. საფეხმავლო ხიდების დემონტაჟის პროცესი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. სადემონტაჟო სამუშაოებს, რომლისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 307 805 ლარი დაიხარჯება, კომპანია „მეტეხი 2008“ განახორციელებს.

**სომხეთისა** და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები ყარაბაღის საკითხზე სასაუბროდ მოსკოვში რუს კოლეგას სერგეი ლავროვს შეხვდნენ. თბილისში კი უნიკალური 2-დღიანი კონფერენცია გაიმართა, რომელზეც სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტები, პოლიტოლოგები და სამოქალაქო აქტივისტები მრგვალი მაგიდის ფორმატში ორი ქვეყნის ურთიერთობისა და რეგიონის პრობლემატიკაზე ერთობლივად მსჯელობდნენ. შეხვედრას ცნობილ ფონდ „ბლექ სი თრასთის“ მხარდაჭერით გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკური ცენტრი უწევდა.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორი, ცნობილი პოლიტოლოგი და ექსპერტი სტეფან გრიგორიანი განმარტავს, თბილისი შეხვედრის ადგილად შემთხვევით არ შერჩეულა: გარდა იმისა, რომ მას საქართველოს დედაქალაქი ყოველთვის უყვარდა, თბილისი ტრადიციულად ცნობილი იყო მრავალი კულტურისა და ეროვნების ადამიანების გადაკვეთის ადგილად, ტოლერანტობის კერად.

დღეს გთავაზობთ ს. **გრიგორიანთან** საუბრის ქართულ ვერსიას.

## სტეფან გრიგორიანი:

# საქართველო გასულია ევროპის ბაზარზე, სომხეთი კი რუსულ კორუფციულ მოდელში ტრიალებს!

## ქართველებმა და სომხებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა პირისპირ უნდა ვისაუბროთ, რადგან შუამავლებს საკუთარი ინტერესები აქვთ

**— მინდა, პირველი კითხვა თავად შეხვედრის ფორმატთან დაკავშირებით დაგისვათ. რა საკითხები განიხილეს ამ უნიკალური ფორმატის ფარგლებში, რამდენად ხერხდება, მშვიდად, ანალიტიკურად ეძიოთ არსებული კონფლიქტების გადაჭრის გზები?**

— ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სომხეთში ბევრი რამ იცვლება: არსებობს განსხვავებული ტენდენციები, კარგიც და პრობლემურიც, თუმცა საერთო ვექტორის კონტურები უკვე გამოკვეთილია. მათ შორისაა სომხეთის ახალი ხელმძღვანელობის, ახალ პრემიერის ნიკოლ ფაშინიანის რიგი ინიციატივები ყარაბაღის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. რამდენადაც მესმის, აზერბაიჯანში ეს ინიციატივები პოზიტიურად აღიქვეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი ყველაფერს ეთანხმება, თუმცა ბაქოში, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ სომხეთის სათავეში მოვიდა ახალი ხელმძღვანელი, რომელიც არ არის დაკავშირებული 1990—იანი წლების მოვლენებთან, შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობა უშუალოდ არ მიუღია, ახლებური ხედვები და მიდგომები აქვს...

**— მაგრამ ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების მიერ ერთმანეთის მიყოლებით გაკეთებული ბოლო განცხადებები, რომელიც ფართოდ განიხილებოდა როგორც ერევანსა და ბაქოში, ისე თბილისსა და მოსკოვშიც, საკმაოდ აგრესიული იყო. რამდენად შესაძლებელია ამ ფონზე საუბარი მხარეების მიერ დიალოგის აუცილებლობის აღქმაზე?**

— ჩვენ, როგორც ცნობილია, ემოციური ხალხი ვართ, შესაბამისად, მსგავსი ტიპის განცხადებებიც ხშირად ისმის, თუმცა თუ ბოლო განცხადებების ტონალობას კარგად დავაკვირდებით (ვგულისხმობ უპირველესად, აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებებს), იგი აშკარად შეცვლილია: მიუხედავად მათი განცხადებებისა, რომ „შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში პრობლემების ძალისმიერი გზით გადაჭრას მიმართონ“, მაინც სჭარბობს ხაზი, რომ აუცილებელია, ერთმანეთს მოვუსმინოთ, გავუგოთ, აღვადგინოთ მოლაპარაკებათა პროცესი მინსკის ჯგუფის ფარგლებში.

ამავეზე მეტყველებს ფაქტებიც: როგორც ცნობილია, ყარაბაღ-აზერბაიჯანის შეხების ხაზზე, ასევე აზერბაიჯან—სომხეთის საზღვარზე, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ მონაკვეთზე ზავის დარღვევის ფაქტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა... ჩემი აზრით, ეს უპირველესად, უკავშირდება იმას, რომ აზერბაიჯანში ესმით: სომხეთის ახალი ხელმძღვანელობა დიალოგისთვის გარკვეულ შესაძლებლობებს ხსნის. რა თქმა უნდა, გულუბრყვილოები არც ერთ მხარეს არ არიან და სწრაფ შედეგებს არავინ ელის, მაგრამ იმას, რომ ბაქოში ასეთი აღქმა გაჩნდა, პირადად მე ძალიან ვაფასებ.

**— მაგრამ მხარეთა პოზიციები კარდინალურად განსხვავებულია და ძირითად საკითხებში ისინი დათმობებზე წასვლისთვის მზადყოფნას ჯერჯერობით არ აჩვენებენ. ამ ვითარებაში როგორ გესახებათ პრობლემის არათუ მოგვარება, არამედ ამ მიმართულებით თუნდაც სვლა? მინსკის ფორმატის ეფექტურობასთან დაკავშირებითაც ხომ უკმაყოფილება არსებობს...**

— ეუთოს მინსკის ჯგუფი სადღეისოდ ერთადერთი ფორმატია, სხვა უბრალოდ არ არსებობს, ამიტომაც არ ვფიქრობ, რომ მხარეები მის აუცილებლობას დიდად აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას პრობლემების გადაჭრის ე.წ. მადრიდის 3 პრინციპი და ცნობილი 6 ნაბიჯი. ამ მხრივ, დიახ, გადახედვა შესაძლებელია, რადგან ამას როგორც სომხეთი, ისე აზერბაიჯანი აკრიტიკებენ, ორივე საზოგადოებაში დამოკიდებულება უარყოფითია — სხვადასხვა მიზეზით (პოზიციებში დიამეტრალური განსხვავება არსებობს: ჩვენთან, მაგალითად, იმასაც კი ამბობენ, რომ არცახის (ასე იხსენიებს სომხური მხარე მთიან ყარაბაღს — **რედ**). ირგვლივ არსებული ტერიტორიებიც კი არ უნდა დავთმოთ, აზერბაიჯანში კი — იმას, რომ ყარაბაღისთვის არანაირ დამოუკიდებლობაზე საუბარი არ უნდა იყოს), თუმცა მაინც, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მხარეები თითქოს შეჩერდნენ, ესკალაცია ნაწილობრივ შეჩერებულია, რაც უკვე პოზიტიური ფაქტია. ახლა ახალი შესაძლებლობები იხსნება: ერთი მხრივ, სომხეთის ახალი ხელმძღვანელობის გამო (ნიკოლ ფაშინიანი არ მალავს, რომ სურს დრო ყარაბაღის პრობლემის გასააზრებლად, ვინაიდან ამ თემით დაკავებული არასოდეს ყოფილა, მთელი ცხოვრება სომხეთის შიდა პოლიტიკური საკითხებით იყო დაკავებული), მეორე მხრივ — იმის გამო, რომ ეს ბაქოშიც აღიქვეს. ის, რომ გარკვეული დიალოგი მაინც დაიწყო, პირადად ჩემი აზრით, ძალიან პოზიტიურია.

სწორედ ამ ფონზე გავმართეთ შეხვედრა თბილისში. შეხვედრაზე ატმოსფერო იმ ცვლილებების შესაბამისი იყო, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, — არა იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი განსხვავებული შეხედულებები არ გაგვაჩნია, მაგრამ როდესაც ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელობებს შორის ურთიერთობები თუნდაც 1—3%-ით რბილდება, ეს ავტომატურად აისახება მსგავს შეხვედრებზეც.

**— პირადად თქვენ რაში ხედავთ პრობლემის გადაჭრის გზებს, თუნდაც სამომავლოდ?**

— ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ გამაჩნია, რადგან ის, რასაც ჩვენ მადრიდის პრინციპებს ვუწოდებთ, რაც წარმოადგენს გარკვეულ წინადადებებს პრობლემის მოსაგვარებლად (მაგალითად, ყარაბაღის ირგვლივ არსებული ტერიტორიების გათავისუფლება, ყარაბაღის გარკვეული სტატუსი და ა.შ.) და რაც დიდი ხნის განმავლობაში კომპრომისულად აღიქმებოდა, სადღეისოდ ორივე მხარის მიერ უარყოფილია. შესაბამისად, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, რაშია გამოსავალი. პირადად ჩემი აზრით, ყველაზე უკეთესი დიალოგის დაწყება, მის ფარგლებში ურთიერთნდობის გაძლიერება და სტატუსის საკითხის გარკვეული დროით გაყინვაა. აზერბაიჯანული მხარე ამას ძნელად თუ დასთანხმდება, რადგან სტატუს-კვოს განმტკიცების პერსპექტივა აშფოთებს, თუმცა პირადად ჩემი აზრით, საბოლოოდ მხარეები მაინც მივლენ იქამდე, რომ სომხეთი აღარ მოახდენს იმ აზრის პედალირებას, რომ აზერბაიჯანმა ეს ტერიტორიები საბოლოოდ დაკარგა, ხოლო აზერბაიჯანი — იმ მოთხოვნის პედალირებას, რომ ეს ტერიტორიები ხვალვე უნდა გათავისუფლდეს... ვფიქრობ, რომ დაიწყება ურთიერთნდობის გაღრმავების პროცესი, რადგან ყველას გვესმის, რომ ნდობის გარეშე კომპრომისებზე საუბარი შეუძლებელია.

**— ვისაუბროთ შიდა პოლიტიკაზეც. თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფაშინიანი მოვიდა ხელისუფლებაში და თითქმის ნახევარი — გასული წლის 9 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებიდან, რომელთა შედეგადაც ფაშინიანის გუნდმა საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. როგორი განწყობაა ფაშინიანის ხელისუფლების მიმართ სადღეისოდ?**

— სწორედ ეს არის მთავარი საფრთხე ფაშინიანისთვის — მეტისმეტად მაღალი მოლოდინი, რომელიც ჯერ რევოლუციას და შემდეგ ასეთ საარჩევნო შედეგს ახლდა თან: ესოდენ მაღალი მოლოდინის გამართლება შეუძლებელია თუ არა, ძალზედ რთულია. ჩემი აზრით, ფაშინიანისთვის მთავარი პრობლემა სადღეისოდ არა ყარაბაღი, არა სოციალური მდგომარეობა, არამედ სწორედ ეს მაღალი მოლოდინია და დაპირებული ცვლილებების სწრაფად და ეფექტურად განხორციელება. მთელი რიგი პოზიტიური ნაბიჯები მან უდავოდ გადადგა და სომხური საზოგადოება ამას სათანადოდ აფასებს, თუმცა რიგი დაპირებების შესრულება დროში, ცოტა არ იყოს, ჭიანურდება და ეს გარკვეულ იმედგაცრუებას უკვე იწვევს.

ასე, მაგალითად, უდავოდ მიმდინარეობს კორუფციის წინააღმდეგ სელექტიური ბრძოლა, თუმცა ეს საკმარისი არ არის, საჭიროა, ამ ბრძოლამ სისტემური ხასიათი მიიღოს. ამისათვის კი იგივე იუსტიციაში მთელი რიგი სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი, რომელიც ცოტა გაჭიანურდა. მეორე, რაც ხალხის ერთგვარ იმედგაცრუებას იწვევს, ეს არის მსხვილი კომპანიების საგადასახადო ველში მოქცევის მცდელობის გაჭიანურება, რასაც რიგი ობიექტური მიზეზები გააჩნია: ამ მცდელობის განსახორციელებლად, მაგალითად, ათასობით ადამიანის უმუშევრად დატოვება გახდება საჭირო და ხალხი, რომელმაც თავის დროზე ფაშინიანს მხარი დაუჭირა, ამ პერსპექტივას, ცხადია, დიდი სიხარულით ვერ შეხვდება.

ასე რომ, ფაშინიანი რთული ამოცანების წინაშე დგას. ამ ვითარებაში ადრეც არაერთგზის მითქვამს და ახლაც ამ აზრზე ვრჩები: აუცილებელია რიგი საკონსტიტუციო ცვლილებების სწრაფად და ეფექტურად განხორციელება (არა კონსტიტუციის შეცვლა, არამედ კონსტიტუციის შიგნით), უპირველესად — პრემიერის რიგი უფლებამოსილებების გადალოცვა პრეზიდენტისთვის, პარლამენტისთვის. ეს პრობლემატიკა საქართველოსთვის კარგად არის ცნობილი და რამდენადაც ვიცი, ამ პრობლემებს თქვენც აწყდებით.

**— როგორია ვითარება იგივე ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლების კუთხით?**

— აქ ცვლილებები ნამდვილად სახეზეა: ხალხს არათუ ქუჩაში გასვლის, ფაშინიანის მიმართ გარკვეული პროტესტის ღიად და ხისტად დაფიქსირებისაც კი არ ეშინია. აშკარა ძვრებია მედიის თავისუფლების კუთხითაც. ჩვენთან ბევრია პარტიული მედია, მათ შორის — ოპოზიციურიც, რომელიც ფაშინიანს დილიდან საღამომდე ლანძღავს, თუმცა პრობლემები არავის ექმნება, ხოლო სხვადასხვა პარტიების მედიასაშუალებების არსებობა მედიაპლურალიზმს უზრუნველყოფს. უნდა ითქვას, რომ სახელისუფლებო მედიის წელი ნაკლებია. მედიასაშუალებების 2/3 ან ოპოზიციურია, ან დამოუკიდებელი.

**— და ბოლოს, მინდა, გკითხოთ საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრების ბოლოდროინდელი არაფორმალური შეხვედრების შესახებ. უკვე რამდენჯერმე ვნახეთ ბატონები ფაშინიანი და ბახტაძე არაფორმალურ ვითარებაში. თუ გაქვთ ინფორმაცია, რასთან გვაქვს აქ საქმე და რაზე მეტყველებს, თქვენი აზრით, ეს შეხვედრები, — იმაზე, რომ სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობები უფრო ახლო ხდება?**

— უპირველესად, ჩემი აზრით, ეს ძალიან პოზიტიურია, თუნდაც არ ვიცოდეთ ამ შეხვედრების მთავარი დღის წესრიგი. საქართველო ხომ ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, ქართველი ხალხი — ჩვენი მეგობარი და გინდაც განსხვავებული საგარეო ორიენტაცია გვქონდეს, მაინც ჩვენი მოძმე ხალხები ასეთად რჩებიან. შესაბამისად, ის, რომ ჩვენი ქვეყნების პრემიერები ხვდებიან ერთმანეთს, ყველა შემთხვევაში პოზიტიურია.

ვფიქრობ, ამ შეხვედრების მიზეზი ისაა, რომ სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია, ეს ორგანიზაცია კი არა სომხეთის ეკონომიკის განვითარებისთვის არსებობს, არამედ იმისთვის, რომ მისი წევრი სახელმწიფოები რუსეთს შორს არ გაექცნენ. ანუ, ეს მექანიზმი სომხეთს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, მათ შორის — იმ კუთხითაც, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში ვერ ვახდენდეთ ყველაფერ იმის რეალიზებას, რასაც ვისურვებდით. იგივე საზღვრისპირა მცირე ვაჭრობა ფაქტობრივად მოკვდა სწორედ ამის გამო და ვფიქრობ, იმის გამო, რომ მოსალოდნელია ახალი პრობლემები ევრაზიული კავშირის ფარგლებში (ძალაში შედის თამაშის ახალი წესები), ეს შეხვედრები ტარდება, რათა მახვილი კუთხეები ოდნავ შერბილდეს, გაირკვეს ქართული მხარის რეაქცია ამ ყველაფერზე. ჩვენს ხელისუფლებას ყოველთვის ვეუბნები იმასაც, რომ საქართველო არაფერშია დამნაშავე, მასაც გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი; ვეუბნები, რომ ევრაზიული კავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები სომხეთის ეკონომიკის წინააღმდეგ მუშაობს, რომ ევროკავშირიც არ არის იდეალური, მაგრამ როდესაც შენ მასთან ხელშეკრულებას აფორმებ, იმ მკაცრი პირობების სანაცვლოდ, რომლის შესრულებასაც ეს ორგანიზაცია შენგან ითხოვს, შენ იღებ ნამდვილად არაკორუმპირებულ ბაზარს. ამიტომაცაა, რომ როდესაც ბერლინში, ვარშავაში, ბუქარესტში მიწევს მოხვედრა, იქ ვხვდები ქართულ მაღაზიებს, მაღაზიებში ქართულ პროდუქციას, ანუ საქართველო გასულია ამ ბაზარზე, სომხეთი კი რჩება ძველი — რუსული კორუფციული მოდელის ფარგლებში.

**ძალიან მნიშვნელოვანი იყო ნიკოლ ფაშინიანის გზავნილი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით: სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა პრობლემის მოგვარება პირისპირ უნდა სცადონო. ჩემი აზრით, ასევე პირისპირ უნდა ვისაუბროთ ქართველებმა და სომხებმა, ასევე სხვებმაც, რადგან შუამავლებს ძალიან ხშირად საკუთარი ინტერესი ამოძრავებთ. არ ვამბობ, რომ შუამავლებს ხელი უნდა ვკრათ, თუმცა ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მათ საკუთარი ინტერესი გააჩნიათ და ხანდახან პირისპირაც უნდა დავსხდეთ სასაუბროდ.**

**„აქცენტი“**

◎ ᲔᲡ ᲘᲧᲝ, ᲘᲧᲝ!..

# ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲥᲘᲡᲐ

**ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲐᲡᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘ ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ II-ᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲔᲪᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ 70 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲘᲜᲫᲣᲠ ᲮᲔᲠᲮᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲭᲝᲠᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲗᲘᲗᲝᲭᲚᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲐᲠᲐᲙᲝ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ.**

სინამდვილეში კი იმპერატორის ოჯახის ყველა წევრს

პირადი „საქველმოქმედო პროგრამა“ ჰქონდა, ამიტომ თითოეულის პირადი სახსრების დიდი ნაწილი შეწირულობაზე, ჰოსპიტალების, სასწავლო დაწესებულებების, საქველმოქმედო ორგანიზაციების შენახვაზე იხარჯებოდა. დაუწერელი წესით, ყოველწლიურად იმპერატორის კარის ბიუჯეტი დგებოდა, რომელშიც მისი ოჯახის წევრთა პირადი სახსრებიც იყო გაწერილი. ყველა ხარჯი მკაცრად რეგლამენტირებული იყო, სამოსელის შეძენაც კი. **რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში ინახება მეფე ნიკოლოზ II რომანოვის შემოსავალ-გასავლის წიგნი — ეს, არსებითად, იმპერატორის ქისაა, სადაც ხარჯის 14 პუნქტია გაწერილი, რომელთაგან 6 საქველმოქმედოა.** ეს იყო პენსიების, პენსიონერებისა და მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შენახვის, შეწირულობების, შემწეობების, საჩუქრებისა და ფულადი ჯილდოების სახით გასაცემი თანხები. ამას ემატებოდა ექსტრაორდინალური ხარჯი, რომელსაც ხელმწიფე სწევდა სასწავლო ან საქველმოქმედო დაწესებულებების, ასევე ეკლესიების სასარგებლოდ. გარდა ამისა აღნუსხულია ეპიზოდური, საქველმოქმედო დანიშნულების სხვადასხვა ოდენობის თანხებიც.

ხელმწიფეს აუარება კორესპონდენცია მისდიოდა დახმარების გაწევის, ანდა საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების თხოვნით. მაგალითად, არის ჩანაწერები იმის შესახებ, რომ 1898 წელს ნიკოლოზ II-მ 5 ათასი რუბლი (ეს კი ოთხი თვის მისი ჯიბის ფული იყო) რომელიღაც მიყრუებულ გუბერნიაში მართლმადიდებლური საყდრის მშენებლობის დასრულებისთვის გასცა. ვიღაცის ქვრივზე კი საკუთარი სახსრებიდან იგი ყოველთვიურად 350 რუბლს გასცემდა. სანკტ-პეტერბურგის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი რომ შეიქმნა, ეს დიდწილად იმპერატორის დამსახურებაა. ძალიან ხშირად იგი ანონიმურად მოქმედებდა. მაგალითად,1901 წელს მან ბრძანა ჟურნალ „რუსკი ინვალიდისთვის“ 50 რუბლის გადარიცხვა — როგორც ანონიმური პირის შეწირულობა.

იმპერატორის გარდა, გაჭირვებულთა შემწეობასა და დახმარების გაწევას თავის უპირველეს მოვალეობად მისი ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი მიიჩნევდა. **რომანოვების ხარჯიც სწორედ იმის გამო იზრდებოდა, რომ მათი შეწირულობების თანხები წლიდან წლამდე მატულობდა.** იმპერატორის მეუღლე ალექსანდრა თევდორეს ასული ღარიბი ოჯახებიდან ბავშვებისთვის ყოველწლიური საშობაო ნაძვის ხეების მოწყობის ინიციატორი იყო. მან დიდად შეუწყო ხელი ახალი სასწავლო დაწესებულებების, თავშესაფრების, საავადმყოფოების აგებას. **თავადაც ქირურგიის საოპერაციო დად მუშაობდა.** არადა, ხომ სრულიად წარმოუდგენელია, რომ, ვთქვათ, საბჭოთა დროში, პოლიტბიუროს რომელიმე წევრის ცოლს ჯარისკაცთა ჰოსპიტალში სანიტრად ემუშავა. **ომის დროს კი უმცროსი რომანოვები (ანუ ნიკოლოზ II-ის შვილები) იხვეწებოდნენ, რომ მათთვის საჩუქრები კი არ მიერთმიათ, არამედ ფული ეჩუქებინათ, რათა ობლებისა და ჯარისკაცებისთვის დახმარება გაეწიათ.**

...ერთხელ ხელმწიფოს მატარებელი, რომლითაც მეფე ოჯახთან ერთად მგზავრობდა, რომელიღაც სარკინიგზო სადგურზე გაჩერდა და მას ადგილობრივმა მოხელემ მიმართა — დიდი ოჯახის შესანახად მწირი ჯამაგირი არ ჰყოფნიდა. ნიკოლოზ II მას პირადი სახსრებიდან ყოველთვიურად 30 რუბლის გამოყოფას დაპირდა, უფლისწულმა ალექსანდრემ კი ეს ამბავი რომ გაიგო, კიდევ 40 რუბლი დაუმატა.

დიდი თავადის ქალები ოლგა და ტატიანა სათავეში ედგნენ კომიტეტებს, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევდნენ ბრძოლებში დაზარალებულთა და მათ ოჯახებს. ეს დახმარება სულაც არ იყო მოჩვენებითი. კომიტეტში დახმარების ათამდე ფორმა და შეწირულობების აკრეფის სამი ათეული ხერხი ჰქონდათ შემუშავებული. ყველა გაჭირვებულს შეეძლო ფულის და სამოსელის მიღება, სამსახურში მოწყობა. მათ შემადგენლობაში შედიოდნენ ადგილობრივი გუბერნატორები, ეპარქიების საქალაქო მმართველობის, საქველმოქმედო და ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სათავადაზნაურო კრებების თავკაცები, **ყველაფერი ეს, ცენტრალურ მმართველობასა და სამეფო ხელისუფლების მფარველობასთათან ერთობლივად, დემოკრატიული ცენტრალიზმის ქმედით სისტემას ჰქმნიდა.** იგი ეფექტიანად მუშაობდა მთელი პირველი მსოფლიო ომის მანძილზე. 1914 წელს რუსეთს პოლონეთისა და ბალტიისპირეთის გუბერნიებიდან დაახლოებით 3,5-4 მილიონი ლტოლვილი(!) მოაწყდა, მაგრამ, კომიტეტების მწყობრი მუშაობის წყალობით, არავინ შიმშილობდა, არ მაწანწალობდა, არ მათხოვრობდა — ყველას ადგილი ჰქონდა მიჩენილი, ყველას ეცვა-ეხურა და მაძღარი იყო.

დიდი თავადის ქალის ტატიანას კომიტეტმა 68 მილიონი რუბლი გაანაწილა, 12,6 მილიონის კი შემოწირულობას მოუყარა თავი. **ამ თანხებიდან არც ერთი კაპიკი არავის არ მოუპარავს, არც ერთი ბრალდება არ ყოფილა წაყენებული კორუფციაში თუ ფულის არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში.**

ისტორიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ მეფის ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი გულწრფელად იყო შემართული საზოგადოებისთვის პირადად მოეტანა რაიმე სარგებელი.

**„АиФ“**

# ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ...

● **ᲖᲔᲘᲗᲣᲜᲘᲡ** ზეთი ორგანიზმს ალცჰაიმერის დაავადებისგან იცავს?

● მე-16 საუკუნეში ევროპის ცირკებში ვინმე ინგლისელ მომთვინიერებელ ვილიამ ბენქს ულაყი მაროკო გამოჰყავდა, რომელიც ფერებს არჩევდა, ორ ფეხზე დადიოდა, მაყურებელთა დამალულ ნივთებს პოულობდა და მათ შორის უშეცდომოდ არჩევდა... უმანკო ქალიშვილებს?

● ინგლისელი პროფესორის ტიმ სპექტორის გაფრთხილებით, თუკი კაცის სიდედრი, რომ იტყვიან, „დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის“ ქალი იყო, მისი ქალიშვილი ქმარს 55-პროცენტიანი ალბათობით უღალატებს?

● ლიბერიაში გამოშვებული ერთ-ერთი მონეტის გამოყენება შეიძლება არა მარტო საგადასახადო საშუალებად, არამედ... მზის საათადაც?

● კარგია დროდადრო ციკლებად სუნთქვა: 2-3-წამიანი ღრმა ჩასუნთქვა, შემდეგ 3-4-წუთიანი ამოსუნთქვა, ხოლო შემდეგ 2-3-წამიანი პაუზა, რაც სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს?

● ტალღების ხმა, რომელიც ზღვის ნიჟარებიდან გვესმის, ოკეანესთან არავითარ კავშირში არის — ესაა გარემოს ხმაურის ანარეკლი



და ჩვენს ორგანიზმში სისხლის ნაკადის შხუილი?

● პერუს დედაქალაქ ლიმაში ოქროსადმი მიძღვნილი მუზეუმია?

● ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს მერვე ჩემპიონმა, უნგრელმა სიუზან (ჟუჟა) პოლგარიმ თამაში 4 წლის ასაკში ისწავლა — მას შემდეგ, რაც მამის ჭადრაკის დაფა კარადაში აღმოაჩინა?

● „გაიდარი“ გვარი სულაც არ არის, მონღოლურად ის „მოწინავე მხედარს“, უკრაინულად კი — „ცხვრის მწყემსს“ ნიშნავს?

● საშუალო სტატისტიკურად ადამიანი დღეში ოთხჯერ იტყუება?

# ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲜᲐᲑᲐᲮᲣᲡᲔᲕᲖᲔ...

**რატომაა, რომ ალკოჰოლი ზოგიერთს უფრო სწრაფად ერევა, ზოგი უფრო გვიან, ზოგიც სულაც არ თვრება?**

ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს თავისებურება გენების მოდიფიკაციითაა განპირობებული, რომლებიც განსაკუთრებული ფერმენტების მუშაობას განაპირობებენ, ისინი, თავის მხრივ, ეთილის სპირტის აცეტალდეგიდში, აცეტილდეგიდიდან კი ძმარმჟავაში გადამუშავებაზე არიან პასუხისმგებელნი. თუკი ადამიანს ამ გენებში მუტაციები არ აღენიშნება, თრობა და „პახმელიის“ სინდრომი მას სწრაფად და შეუმჩნევლად გასდის. ხოლო თუკი ერთი ფერმენტი სწრაფად მუშაობს, მეორე კი ნელა, ღვიძლი ვერ ახსერხებს მავნე აცეტილდეგინის ძმარმჟავაში გადამუშავებას. მცირე დოზის მიღების შემდეგაც კი ზოგიერთს უმძლავრესი „საპახმელიო“ სინდრომი, რომ იტყვიან, „კლავს“.

თუმცა არის კიდევ უარესი ვარიანტი, როცა ორივე ფერმენტი ნელა მუშაობს — ამ შემთხვევაში კაცს სიმთვრალეც და „პახმელიაც“ დიდ ხანს უგრძელდება. ამგვარი მუტაციები უფრო ხშირად უკიდურესი ჩრდილოეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მცხოვრებლებში გვხვდება, რომელთაც დასათრობად მართლაც რომ „ერთი ჭიქაც“ ჰყოფნით.

**ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲢᲨᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# ეს ხომ ნანახი გვაქვს?!

**ხვალ, დიდი ალბათობით, „უმცროს ბორჯღალოსნებს“ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ მეორედ მოგებას მივულოცავთ, რადგან ფინალურ შეხვედრაში დავით ჩავლეიშვილის გაწვრთნილი გუნდის მომავალი მეტოქე და ჩვენი თანამემამულეები, რომ იტყვიან, სხვადასხვა წონითი კატეგორიის წარმომადგენელნი არიან.**

ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძვლიანობა ჭაბუკმა ქართველმა მორაგბეებმა რუსეთის ქალაქ კალინინგრადში მიმდინარე კონტინენტურ ფორუმზე უკვე მეორედ დაამტკიცეს, როცა გერმანელთა შემდეგ (46:0) შავი დღე მასპინძლებსაც აყარეს — 64:10.

აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგეს ერთბაშად 10(!) ლელო დავუდეთ (ნინიაშვილი, კაკაურიძე, ლუტიძე, მატკავა, პეტრიაშვილი, გვიმრაძე, ივანიშვილი, ზაქარიაძე, კოხოძე, ქუშაშვილი), პაპუნაშვილმა კი მათგან 7 გარდასახა.

დავძენთ, რომ ესპანელებმა პირენეულ ჯახში მეზობელ პორტუგალიელებს სძლიეს — 20:5.

* * *

**როგორც** მოგეხსენებათ, 4-20 ივნისს არგენტინა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ნაკრების მეტოქენი ჯგუფურ ტურნირში ახალზელანდიელი, სამხრეთაფრიკელი და შოტლანდიელი თანატოლები იქნებიან. დაგვეთანხმებით, ჩვენს ბიჭებს ცხელი ზაფხული ელით.

მომავალი ბატალიებისთვის უკეთ მოსამზადებლად „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ საწვრთნელი შეკრება სამხრეთ აფრიკაში გამართეს, სადაც ორი მარცხის (მასპინძლებთან და არგენტინელებთან) შემდეგ დასკვნითი სპარინგი ნამიბიის XV-თან 24:20 (17:3) მოიგეს.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ წინა შეხვედრათა მსგავსად ჩვენს თანამემამულეებს ამჯერადაც გაუჭირდათ შესვენებამდე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება, მაგრამ, ვიმედოვნებთ, სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებამდე ისინი კონდიციებსაც გაიუმჯობესებენ და ფსიქოლოგიურადაც მომძლავრდებიან.

**კობა კობახიძე**

◎ ლეგიონერი

# ბითაძის „ოთხიანები“

**კედელთან** **მიყენებულისა არ იყოს, „ბუდუჩნოსტი“ საკუთარ სარბიელზე ადრიატიკის საკალათბურთო ლიგის მესამე ფინალურ შეხვედრაში საკონტროლო გასროლის მოლოდინში გავიდა.**

გოგა ბითაძის გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა — სერიას 0:2 აგებდა და დამარცხების შემთხვევაში ტიტულს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ მოიპოვებდა.

კრიტიკულ ვითარებაში ჩავარდნილი მონტენეგროს საუკეთესო კლუბი მრისხანე მეტოქეს არასტუმარ-თმოყვრულად დაუხვდა და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა — 80:72 (2:1).

აღნიშნულ მატჩში გადამწყვეტი მესამე პერიოდი გამოდგა, რომელშიც იასმინ რეპეშას შეგირდებმა სერბებს 21:8 გადაურბინეს.

მასპინძლებს წარმატებისკენ კოული (20 ქულა) და კლარკი (14 ქულა) გაუძღვნენ, ქართველი ლეგიონერი კი ამჯერად მოკრძალებული მონაგრით — 20 წუთში 4 ქულითა და ამდენივე მოხსნით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება სტუმრებს, მათგან ყველაზე შედეგიანად რივერსმა ითამაშა — 19 ქულა.

ფინალური სერიის მეოთხე ბრძოლა დღესაც პოდგორიცაში გაიმართება.

* * *

**ეროვნული** საკალათბურთო ასოციაციის აღმოსავლეთ კონფერენციაში რეგულარული სეზონის გამარჯვებულმა „მილუოკი ბაქსმა“ პლეი-ოფის მეორე საშინაო შეხვედრაც უპრობლემოდ მოუგო „დეტროიტ პისტონზს“ — 120:99 და კიდევ უფრო მიუახლოვდა მეოთხედფინალს — 2:0.

აღნიშნული უთანასწორო ბრძოლის ბედიც მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა ფავორიტმა მიჩიგანელები 35:17 დაარბია.

მასპინძელთაგან, ტრადიციისამებრ, ბლედსოუმ (27 ქულა), ანტეტოკუნფპომ (26 ქულა) და მიდლტონმა (24 ქულა) იყოჩაღეს, ზაზა ფაჩულია კი პარკეტზე არ გამოჩენილა და, ბუნებრივია, შერცხვენილ პარტნიორებს ვერ შეეწია.

* * *

**ევროლიგაში** გრძელდება მეოთხედფინალური რაუნდი. გაუწყებთ პლეი-ოფის პირველი ეტაპის მორიგი სასტარტო მატჩების შედეგებს: „ეფეს პილსენი“—„ბარსელონა“ — 75:68, „რეალი“—„პანათინაიკოსი“ — 75:72.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩემპიონთა ლიგა

# ვაჩუქოთ ერთმანეთს... გოლები

**რომ იტყვიან, ეს არწივი ძალიან მაღლა აფრინდაო, ისეა საქმე, ოღონდ ამ შემთხვევაში ფრინველთა მეფის ნაცვლად მამრი ფრთოსანი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც ცნობილია, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ „დეზებიან მამლებად“ ითარგმნება.**

დიახ, გუნდის ტრავმირებული კაპიტნის — ჰარი კეინის გარეშე მებრძოლი მაურისიო პოჩეტინოს შეგირდები პირველად გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და აღნიშნულ მიღწევას კორეელ უნივერსალთან, საპაორი ბურთის გამტანი მასპინძლებსაც აღმოაჩნდათ, მაგრამ გოლების წვიმაში — 4:3 (აქედან საწყის 20 წუთში სარეკორდო — ერთბაშად 4 ზუსტი დარტყმა ვიხილეთ — 2:2) გადამწყვეტი „ეტიჰადზე“ განხორციელებული სტუმართა ზუსტი გასროლები აღმოჩნდა (პირველი რაუნდი — 1:0).

ასე რომ, მივიღეთ ერთი ისეთი ნახევარფინალური წყვილი, რომლის შემადგენლობასაც ტურნირის სტარტამდე ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე: „აიაქსი“ — „ტოტენჰემი“, რომელსაც ჰოლანდიელები სოლიდური საკადრო უპირატესობით დაიწყებენ — ზემოთ უკვე ნახსენები კეინის გარდა, ვინც სეზონი ნაადრევად დაასრულა, პირველ თამაშში ბრიტანელებს სონიც დააკლდებათ, რადგან მან მეორე გაფრთხილება დასტყუა თურქ მსაჯ ჩექინს.

**„პორტუ“ — „ლივერპული“ — 1:4**

პირველი მატჩი — 0:2

ბევრის პროგნოზით, მეორე წყვილის: „ბარსელონა“—„ლივერპული“ გამარჯვებული ლიგის პოტენციური ტრიუმფატორია, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, არაფერი იქნება გასაკვირი.

გაგრძელება 30 აპრილსა და 7 მაისს იქნება.

**გიორგი შოთაძე**

◎ კორტის ამბები

# გრუნტის მეფეს ასე მიაჩნია

**მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა მონტე-კარლოს მასტერზის მეორე წრეში თანამემამულე რობერტო ბაუტისტა-აგუტი 6:1, 6:1 გაანადგურა და მეოთხედფინალში გასასვლელად ბულგარელ გრიგორ დიმიტროვს დაუპირისპირდება.**

„მთავარია, თავს კარგად ვგრძნობდე და თიხაზე თამაშისას საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყო. თითქმის არაფერი შემიცვლია, ვაკეთებ იმას, რასაც გასულ წლებში ვაკეთებდი. ახლა მნიშვნელოვანია ვიგრძნო, რომ უმაღლეს დონეზე კიდევ შემიძლია თამაში.“ — განუცხადა მან Eurosport-ს.

მონტე-კარლოს მასტერზი კვირას დასრულდება, ნადალი კი ამ ტურნირის მოქმედი გამარჯვებული გახლავთ.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ინტერნეტიდან

# თქმა მართლისა

**სამი წლის წინათ არავინ იცოდა არაბი მოდელისა და მოცურავის იმაან ჰამამის შესახებ, რომლის სახელიც დღეს მთელი მსოფლიოს ბულვარულ მედიას პირზე აკერია და მთელს აზიაში არ მოიძებნება ამ გოგონაზე მეტად ცნობილი და წარმატებული ასული.**

იგი პოპულარული საკუთარმა განცხადებამ გახადა, როდესაც დაუფარავად მოჰყვა საკუთარი ცხოვრების შესახებ და ისიც არ დაუმალავს, თუ ოჯახსა და საზოგადოებაში როგორი რთული წინააღმდეგობები გადალახა იმისათვის, რომ ჯერ სპორტსმენობამდე, შემდეგ კი პოდიუმამდე მიეღწია.

ახლახან იმაანმა მეტად სარფიანი კონტრაქტი გააფორმა მილანის ერთ-ერთ პრესტიჟულ სამოდელო სახლთან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს გოგო კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს. როგორც აღნიშნული შემთხვევა გვიდასტურებს, ზოგჯერ გულახდილობას მართლაც რომ არაფერი სჯობს...

**ბეჟან დოლიძე**

# სტალინის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება...

**გორის** მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან იარდალაშვილი მიიჩნევს, რომ სტალინის ძეგლის აღდგენა გორში ტურისტების რაოდენობას უფრო გაზრდის. ეს განცხადება მან ადგილობრივი ტელეკომპანია „დიას“ ეთერში გააკეთა.

**„სტალინის მუზეუმი საქართველოში პირველ ადგილზე მყოფი მუზეუმია ვიზიტორების რაოდენობით. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს ძეგლი იყოს, სანახაობრივად პირველ რიგში, მოხდეს ძეგლის აღდგენა. ტურისტულ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სტალინის მუზეუმი აინტერესებთ, რუსეთი ლიდერობს. პირველ ადგილზეა რუსეთი, მეორე ადგილს იყოფენ ჩინეთი და ირანი. ბევრი ვიზიტორია პოლონეთიდან. გნებავთ, ძეგლს პირვანდელი ფორმა რომ დაუბრუნდეს (პირვანდელი ფორმით სტალინის მონუმენტი გორის ცენტრალურ მოედანზე იდგა. — გ.ა.), შეიძლება იქ არც იდგეს, სადაც იყო, მაგრამ იყოს თუნდაც სტალინის ბაღში. ძალიან დიდია ინტერესი სტალინის მიმართ და ეს უფრო გაზრდიდა ვიზიტორების რაოდენობას.“** — აცხადებს ქეთევან იარდალაშვილი.

კომუნისტური პარტია და სტალინის საზოგადოება დღემდე ითხოვენ გორში სტალინის ძეგლის აღდგენას. საზოგადოების ერთ ნაწილს მსგავსი მცდელობა 2015 წელს საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხის გატანაშიც ჰქონდა, მაგრამ მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, რადგან სამოქალაქო აქტივისტებმა და საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მკაცრად გააპროტესტეს გორში სტალინის ძეგლის აღდგენა. 2017 წელს კი საკრებულოში თავისუფალი დემოკრატების წევრმა თამარ თედლიაშვილმა კოლეგებს ინიციატივით მიმართა, იმ მოედნისთვის, სადაც ერთ დროს სტალინის 6-მეტრიანი მონუმენტი იდგა, ევროპის სახელი მიენიჭებინათ. თუმცა საკრებულოზე ეს საკითხიც ჩავარდა. ცალკე აქტივობები აქვთ საინიციატივო ჯგუფ „მაროს“ წევრებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ გორში სტალინის ქუჩას მარო მაყაშვილის სახელი ეწოდოს. გარდა ამისა, სამოქალაქო აქტივისტები „თავისუფლების ქარტიის“ კანონის სრულად ამოქმედებისა და ტოტალიტარიზმის სიმბოლოების აკრძალვის მოთხოვნით გამოდიან. მათი აზრით, სტალინის ძეგლი სწორედ ტოტალიტარიზმის სიმბოლოა. საინიციატივო ჯგუფ „მაროს“ წევრია კატო ქოთოლაშვილი, რომელმაც გორის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელს ქეთევან იარდალაშვილს კომპეტენცია დაუწუნა. ქოთოლაშვილის აზრით, ძეგლის ყოფნა-არყოფნა არ განსაზღვრავს ტურისტების რაოდენობას.

**„სტალინის ძეგლის დადგმა-არდადგმა კავშირში არაა ტურისტების რაოდენობის ზრდასთან. ვერცერთი კვლევა ვერ დაადასტურებს იმას, რომ ძეგლის აღების შემდეგ ტურისტების რაოდენობამ იკლო სწორედ მაგ მიზეზით, რომ ძეგლი აღარ დგას ქალაქში. მასეც რომ იყოს, უნდა დავფიქრდეთ, რა უფრო მნიშვნელოვანია — რუსი, ჩინელი თუ იაპონელი ტურისტების სიამოვნება თუ სახელმწიფოებრივი, კანონიერი მოქმედება, დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემა და საერთაშორისო დონეზე ქვეყნის შესაბამისი იმიჯის დაცვა. არათუ ძეგლის აღდგენის საკითხი არ უნდა ისმებოდეს, არამედ უნდა ვზრუნავდეთ, როგორ დავიცვათ კანონი თავისუფლების ქარტიის შესახებ და საბოლოოდ აღმოვფხვრათ ყველა ტოტალიტარული გადმონაშთი.“** — აცხადებს კატო ქოთოლაშვილი.

სტალინის 6-მეტრიანი მონუმენტი გორის ცენტრში 1952 წლიდან 2010 წლამდე იდგა. ძეგლის დემონტაჟი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განხორციელდა. ბრინჯაოს ქანდაკება ახლა ქალაქგარეთ არსებულ ერთ-ერთ საწყობში ინახება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

**გოგა აფციაური**

# პერუში გლოვის დღე გამოცხადდა

**პერუს ხელისუფლებამ ყოფილი პრეზიდენტის ალან გარსიას გარდაცვალების გამო ქვეყანაში სამდღიანი ეროვნული გლოვა გამოაცხადა.**

ალან გარსიას (პრეზიდენტი 1985-1990 და 2006-2011 წლებში) დასაკავებლად პოლიცია ლიმაში, მის საკუთარ სახლში, გუშინ მივიდა.

პერუს შს მინისტრის კარლოს მორანის თქმით, ექსპრეზიდენტმა პოლიციელებს ერთი ზარის განხორციელების ნებართვა სთხოვა, ოთახში შევიდა, სადანაც იარაღის გასროლის ხმა გაისმა. პოლიციამ კარი შეამტვრია და დაჭრილი გარსია აღმოაჩინა. ის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ალან გარსია დადანაშაულებული იყო ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიისგან ქრთამის აღებაში.

ადგილობრივი მედიის ცნობით, გარსიას ოჯახის გადაწყვეტილებით მას, როგორც სახელმწიფო მეთაურს, პატივს არ მიაგებენ.

# ქრთამის აღების ფაქტზე გლდანის გამგეობის მთავარი სპეციალისტი დააკავეს

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგეობის მუხიანის საუბნო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზვიად დ. დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზვიად დ. თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, საქართველოს მოქალაქეს გლდანის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებაში და შესრულებული სამუშაოების ჩაბარებაში დაეხმარა, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა და ეტაპობრივად გამოართვა 1700 ლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# ბათუმი ღამის ნახევარმარათონს მეორედ მასპინძლობს

**20 აპრილს ბათუმი მასშტაბურ, საერთაშორისო ნახევარმარათონს „Great Batumi Night Race“ მეორედ უმასპინძლებს. მარათონის მნიშვნელობაზე, მარშრუტსა და მონაწილეებზე გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს, რომელშიც მონაწილეობას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი, ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაში და მარათონის ორგანიზატორები ღებულობდნენ.**

ბათუმის ღამის მარათონს წელს 40-მდე ქვეყნის ცნობილი მორბენალი და მსოფლიო დონის სპორტსმენი ეწვევა, მათ შორის გერმანიიდან, ესპანეთიდან, ინგლისიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან.

ნახევარმარათონი (21,1 კმ) სტარტს სასტუმრო „კოლიზეუმ მარინასთან“ შაბათს, 19:30 წუთზე აიღებს. მხიარული გარბენი (10 კმ) კი — 19:10 წუთზე. გარდა ამისა, ჩატარდება ორი ბავშვთა გარბენი. მარათონისთვის საღამოს 6 საათის შემდეგ ეტაპობრივად გადაიკეტება ყველა ის ქუჩა, სადაც ნახევარმარათონის სარბენი მარშრუტი გადის.

ბათუმის ნახევარმარათონის მონაწილეებს საშუალება ექნებათ, დაათვალიერონ შავი ზღვის სანაპიროს, აჭარის მთებისა და ძველი ბათუმის ულამაზესი ხედები. გარბენის მარშრუტები მთლიანად გაივლის ქალაქის ყველა ტურისტულად მიმზიდველ ადგილს. ყოველ 5 კილომეტრში განთავსდება ძალის აღსადგენი ადგილები. სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი იქნება მარშრუტსა და START-FINISH-თან.

ნახევარმარათონის გამარჯვებულებს სოლიდური ჯილდო ელით. პირველ ადგილზე გამარჯვებულებს — 2000-2000 ევრო, მეორე ადგილზე — 1500 ევრო, მესამე ადგილზე გასულს კი — 1000 ევრო. გარდა ამისა, იქნება სპონსორების მიერ დაწესებული პრიზები.

# თურქეთში ბინების ქურდობისთვის საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს

**HABERLER.COM-ის ინფორმაციით, თურქეთში ბინების გაქურდვის ბრალდებით საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს.**

სამართალდამცავებმა დაკავებულების საცხოვრებელი სახლიდან ნაქურდალი ნივთები ამოიღეს, მათ შორის, ძვირფასეულობა, მობილური ტელეფონები და საათები.

გამოცემის ცნობით, დაკავებულები საქართველოს მოქალაქეები ნიკა ტ., ავაზი უ., რატი გ. და როლანდი უ. არიან.

# ხარაგაულის რამდენიმე სოფელში სახლები დაიტბორა

**გადაულებელი წვიმის შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არხები გაიჭედა. წყალმა სახლებიც დატბორა. მეწყერის ჩამოწოლის გამო მოძრაობა შეფერხებული იყო ვანი-სხალთის დამაკავშირებელ გზაზე.**

შესაბამისი სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ, სტიქიის ადგილებზე მობილიზებული იყო ტექნიკა, რომელმაც მდინარის კალაპოტი და გზა გაწმინდა.

◎ მუნასიბი

# გეგა შენგელიას — ზუგდიდის მერობის კანდიდატს

**ამღვრევს** ჩხოუშს, მუნჩიას და ამღვრევს ენგურს,
შემთხვევით არ მოავლინეს ჩვენთან მტრულად,
ბანგს გვასმევს და შხამით წამლავს ჩვენს
ტკბილ მეგრულს,
საგანგებოდ რომ ასწავლეს აგენტუნას!

**ღმერთმა** ნუ ქმნას, ჩვენი ქვეყნის სავაგლახოდ
მერის სკამზე ის რომ ვნახოთ!

**ნუ** დაძრწიხარ უთავბოლოდ, უსასრულოდ,
ვერ გვაცდუნებ სანდრა რულოვს!

**შენ** კი ჩემო მოგვარევ და სახლიკაცო,
ჩემო გეგა შენგელია,
კერა სხვამ რომ ვერასოდეს ვერ მოგვტაცოს,
ჰოლანდიელს — „მფრინავს“, მხტუნავს,
ხელზე გაწვრთნილ აგენტუნას,
დაუმტკიცე, სხვა გვაქვს ჯიში
და მშობლიურ ჩვენს ზუგდიდში
მერად შენ ერთს, შენ გელიან,
მათ შორის მეც — **ალექსანდრე შენგელია.**

*„მფრინავი ჰოლანდიელი“ — იგულისხება ვილჰემ რიხარდ ვაგნერის პირველი ცნობილი ოპერა, რომელსაც ისეთივე „კავშირი“ აქვს სანდრა რულოვსთან, როგორც სანდრას — სამეგრელოსთან.

# DISNEY ნოტრ-დამის აღსადგენად 5 მლნ დოლარს გამოყოფს

**ამერიკულმა** **მედია-კონგლომერატმა** The Walt Disney Company-**მ** **განაცხადა, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენისთვის 5 მლნ დოლარს გამოყოფს.**

1996 წელს კინოკომპანია Disney-მ გამოუშვა მულტფილმი ვიქტორ ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მოტივებზე — „კუზიანი ნოტრ-დამიდან“, რომლის დიდი ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება პარიზის არქიტექტურულ ძეგლს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ტაძარს ხუთ წელიწადში აღადგენენ.

ტაძრის აღდგენის ფონდში ამ დროისთვის 1 მლრდ დოლარია გადარიცხული.


# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


# ბანგლადეშში გოგონა ცოცხლად დაწვეს...

**ბანგლადეშში ნუსრათ ჯაჰან რაფის ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. შემთხვევა სკოლაში მოხდა. ამ შემთხვევამდე ორი კვირით ადრე მან სკოლის დირექტორს სექსუალური შევიწროების გამო უჩივლა. იუწყება BBC.**

19 წლის ნუსრათი მედრესეში სწავლობდა. 27 მარტს მან განაცხადა, რომ დირექტორმა კაბინეტში დაიბარა და რამდენჯერმე სხეულზე არასათანადოდ შეეხო. გოგონამ კაბინეტიდან გაქცევა მოახერხა.

ბანგლადეშში გოგონები და ახალგაზრდა ქალები უმეტესად მალავენ სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის ფაქტებს, რათა საზოგადოების ან ოჯახის მხრიდან შერცხვენა თავიდან აირიდონ.

ნუსრათ ჯაჰანმა კი პირიქით, არამხოლოდ აღიარა ეს ფაქტი, არამედ პოლიციასაც მიმართა, იმავე დღეს, როდესაც მის მიმართ სექსუალური შევიწროება მოხდა.

იმავე დღეს დააკავეს სკოლის დირექტორი. თუმცა გოგონასთვის ვითარება უფრო დამძიმდა. ქუჩებში შეიკრიბა ადამიანთა ჯგუფი დირექტორის გათავისუფლების მოთხოვნით. საპროტესტო აქციების ორგანიზება ორმა სტუდენტმა ითავა. არსებული ინფორმაციით, აქციებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი პოლიტიკოსებიც. ხალხი ნუსრათ ჯაჰანს ადანაშაულებდა. მისი ოჯახი ამბობს, რომ გოგონას უსაფრთხოების გამო ძალიან ღელავდნენ.

ამასთან, 6 აპრილს, გოგონა სკოლაში წავიდა, გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად.

**„ვცდილობდი ჩემი დის გაცილებას და სკოლის შენობაში მასთან ერთად შესვლას, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს“,** — ამბობს ნუსრათის ძმა მაჰმუდ ჰასანი.

**„რომ არ შევეჩერებინეთ, მსგავსი რამ ჩემს დას არ დაემართებოდა“,** — თქვა მან.

ერთ-ერთმა მოსწავლე გოგონამ ნუსრათი სკოლის სახურავზე მოტყუებით აიყვანა. როდესაც ნუსრათი სახურავზე ავიდა, ოთხი, ხუთი ადამიანი მიუახლოვდა და დირექტორის წინააღმდეგ საჩივრის გატანა მოსთხოვა. როდესაც ნუსრათმა უარი თქვა, მათ გოგონა დაწვეს.

ნუსრათი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მას სხეულის 80 პროცენტი ჰქონდა დამწვარი. ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

პოლიციამ 15 ადამიანი დააკავა, შვიდი მათგანი მკვლელობაშია ბრალდებული. დაკავებულთა შორის ორი სტუდენტია, რომლებმაც დირექტორის მხარდასაჭერი აქციები გამართეს. სკოლის დირექტორი ისევ პატიმრობაში რჩება.

# თვითმფრინავში ჩასხდომამდე მგზავრებს აწონიან

**ბრიტანეთი ფრენამდე ბარგთან ერთად მგზავრის აწონვის საკითხსაც განიხილავს. ასეთი მეთოდი ავიაგადამზიდავის ხარჯებისა და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას Lonely Planet-ი ავრცელებს.**

ბრიტანული ტექნოლოგიების სტარტაპ-კომპანია Fuel Matrix-მა დიდი ბრიტანეთის აეროპორტებთან რეისის განხორციელებამდე მგზავრების აწონვის პრაქტიკის დასანერგად მოლაპარაკებები უკვე დაიწყო.

კომპანიის გენერალური დირექტორის როია ფუსკონეს განმარტებით, „საჰაერო გადაზიდვების ღირებულება თითოეულ საგანთან ერთად იზრდება, რაც ადამიანს ბორტზე ააქვს. რაც უფრო მძიმეა საჰაერო ხომალდი ფრენისათვის, უფრო მეტი საწვავია საჭირო.

ავიაკომპანიებმა წინასწარ უნდა გაითვალისწინონ, თუ რა მოცულობით ტვირთს გადაზიდავენ, რათა საავიაციო ნავთის ხარჯი გათვალონ. ეს შეეხება როგორც ტვირთს, ასევე მგზავრის წონას“.

ბევრი ავიაგადამზიდავი 2009 წლიდან ევროპული საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს დატვირთულობის კოეფიციენტს იყენებს: 88 კგ. — კაცებზე, 70 კგ. — ქალებზე, ხოლო 35 კგ. — ბავშვებზე. რეალურად ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე სინამდვილეში.

Fuel Matrix-მა უკვე დააპატენტა ტექნოლოგია, რომელიც აღნიშნული გეგმის განხორციელებისთვისაა აუცილებელი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6906; ევრო - 3.0404;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5201;
100 რუბლი - 4.1792; თურქული ლირა - 0.4631;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5826;
1000 სომხური დრამი - 5.5625.

**ამინდი 19 აპრილისთვის**
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +14
თბილისი: ღამე +6, დღე +10

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge